645
1963/2













# საქართველოს ქალი

ივლისი
1963 წ. № 7

645
67



ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი მ თ თ რ ი

# ვ. მაიაკოვსკი

დაბადების 70 წლისთავი

## ვლადიმერ მაიაკოვსკი

### ნაწყვეტი პოემიდან „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“

პარტია არის
  ხერხემალი მუშათა კლასის,
და ჩვენი საქმის უკვდავება
  არის პარტია.
ერთადერთია,
  რაც არასდროს არ მიღალატებს
და დღეს ნოქარი—
  ხვალ სამეფოს
    მოვშლი ქარტიდან.
კლასის ტვინი
  კლასის საქმე,
    ძალა კლასის,
      მისი დიდება—
        აი პარტია.
ჩვენი პარტია და ლენინი—
  ტყუპნი არიან.—
ისტორიაში
  ვინ იქნება
    უფრო ჩენილი.
ვამბობთ—ლენინი
  და ვგულისხმობთ
    მუდამ პარტიას,
ვამბობთ—
  პარტია
    და ვგულისხმობთ—
      ჩვენი ლენინი.

645
1963/2

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## რსდმპ II ყრილობის 60 წლისთავი

# თქვენთვის ვიბრძოლით!

**„ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს“.**

**ლ ე ნ ი ნ ი**

სალამი თქვენდა, ჩვენო დედებო — წელში მოხრილნო, თმაგათეთრებულნო. გზა თქვენი მძიმე იყო, მაგრამ ნათლით მოსილი. დღეს თქვენი შვილები მოდიან თქვენთან და ამბობენ: მადლობა დედებო!

სალამი შენდა, ცხრამეტი წლის გოგონავ, წითელ ფარჩას რომ ჩაჰყურებდი და დროშას ჰკერავ თანასოფლელებისათვის, სიმართლისათვის ამხედრებული გლეხობისათვის. მე ვხედავ დროშასავით აღმართულ შენს ხელებს. „ძირს თვითმპყრობელობა“! გუგუნებენ ნიკორწმინდელი, ჭელიაღელელი, ხოტეველი მშრომელები... ეს არის 1905 წელი. დემონსტრაციას წინ მიუძღვი შენივე შეკერილი დროშით ხელში. ახალგაზრდობას თვალი რჩება შენზე — შავთვალწარბა, შავგვრემან ქალიშვილზე. მაგრამ მხოლოდ ერთს ეკუთვნის შენი გული — რევოლუციის რაინდს, შამშე ლეჟავას. იგი აქელ ენუქიძესთან ერთად ამოვიდა მთიან სოფელში, ამოიტანა პროკლამაციები, ბროშურები, მართალი წიგნები. სამუელ ბუაჩიძე, ნოე კვერენჩხილაძე, იოსებ გორდეზიანი და შენი საყვარელი ძმა-ქიქია ჭიჭინაძე შემოიკრიბა გარს. შენც მათთან იყავ, კარგო გოგონავ, სულგანაბული უსმენდი მათ მგზნებარე სიტყვებს. მერე გლეხებში გაგქონდა ეს წიგნები, სიტყვები. უყვარდი სოფელს... ამიტომაც წინ გაგიძღოლეს დროშით ხელში...

მე გხედავ შენ, ნაქერალას უღელტეხილზე მარტოდმარტო მიმავალს. ნაქერალაზე თოვლი დევს. გტკივა დაღლილი ფეხები. უკან დარჩა აწიოკებული სოფელი, გადამწვარი სახლები. ეს ალიხანოვის დამსჯელი რაზმი შემოსევია რაჭას. იჩქარე, ისინი შენ გეძებენ. დრტვინავს მაზრის უფროსი შოტგაუერი. „ჰმ, მაწანწალებს აჰყვა კეთილშობილი ოჯახის შვილი!“ — ამბობს იგი შენს შესახებ.

ლიზიკო, წინ დიდი გზა გიდევს. უნდა დააღწიო ჯალათებს თავი. თორემ სასტიკად გაგისწორდებიან რაჭაში პირველ რევოლუციონერ ქალს... იქ, ბარში ჩახვალ, გიშველიან ამხანაგები, კვლავ ჩაგაბამენ მღელვარე ცხოვრებაში. რამდენი ამხანაგი გელის, ჭაბუკები, ქალიშვილები, შენი ტოლნი, შენზე უფროსნი... რევოლუციის საქმისათვის თავდადებულნი. ისინი რუსეთის მუშათა კლასთან ერთად იღწვოდნენ თავიანთი დამოუკიდებელი, რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნისათვის. კითხულობდნენ ლენინის „ისკრას“, ავრცელებდნენ დიად აზრებს... „ჩვენს წინაშე მთელი თავისი ძლიერებით აღმართულია მტრის ციხე-სიმაგრე, საიდანაც ყუმბარებსა და ტყვიებს სეტყვასავით გვაყრიან, რაც ხელიდან გვაცლის საუკეთესო მებრძოლთ. ეს ციხე-სიმაგრე უნდა ავიღოთ, და ავიღებთ კიდევაც, თუ გამოღვიძებული პროლეტარიატის მთელ ძალებს შევაერთებთ რუს რევოლუციონერთა მთელ ძალებთან ერთ პარტიად, რომლისკენაც გაეშურება ყოველივე, რაც კი ცოცხალი და პატიოსანია რუსეთში“.—წერდა ლენინი და ეს სიტყვები მრავალს აღებეჭდა გულზე. მასებთან განუყრელად დაკავშირებული, მებრძოლი, ცენტრალიზებული, რევოლუციური მარქსისტული პარტია. რსდმპ მე-2 ყრილობამ განამტკიცა ისკრელთა გამარჯვება, ლენინმა, ბოლშევიკებმა რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის დროშა აიღეს ხელთ. ყრილობამ მიიღო პროგრამა. იგი რევოლუციური პროლეტარული პარტიის მარქსისტული პროგრამა იყო, მუშათა პარტიის ერთადერთი პროგრამა მსოფლიოში, სადაც პროლეტარიატის დიქტატურის იდეა იყო ფორმულირებული.

სამოცი წელი გავიდა მას შემდეგ, ბრძოლით, გამარჯვებით სავსე წლები... მაშინ ლიზიკოს გეძახდნენ, შავი, ბულულა თმა გქონდა და ცეცხლიანი თვალები. მაშინ საყვარელი ძმა და მეუღლე გედგნენ მხარში... დღეს წლებმა გაათეთრა შენი თმა, მხრებში მოგხარა. აღარ არის შამშე ლეჟავა. თვითმპყრობელობამ საპატიმროში ამოხადა სული საყვარელ ძმას — წითელრაზმელთა მეთაურს, სიკვდილმისჯილ ქიქია ჭიჭინაძეს... ზიხარ წყნარ ოთახში და გაზეთებს ფურცლავ. ვისთვის კარგი მეგობარი ხარ, ვისთვის კარგი დიასახლისი, ოჯახის დედა. ჩვენთვის? ახალგაზრდობისათვის? რევოლუციის მატიანე...
ამიტომ არასოდეს არა ხარ მარტო. მოდიან შენთან, მოაქვთ ყვავილები, ახალი წიგნები, ამბები. გთხოვენ გაიხსენო თქვენი ბრძოლების ეპიზოდები, თანამებრძოლნი. ბევრი დაეცა, არ დაინდო ტყვიამ, ბევრი აღარ არის... ბევრის გული კვლავ ფეთქავს ჩვენთან ერთად. აი, მარად მხნე ნინო ალაჯალოვა, მთიელი ბარბარე პაპუნაშვილი, ნინო ხანოიანი, ფენია ჯეგეშიძე, მკვირცხლი გურული ქალები ნატალია მგალობლიშვილი, ნინო და სუსანა ბერიძეები... მიდით მათთან, სთხოვეთ — რამდენ რამეს მოგითხრობენ! რამდენს გაიხსენებენ! — არალეგალური კრებები, კომიტეტის სხდომები, პროკლამაციების ბეჭდვა-გავრცელება, კონსპირაცია, ქარიშხლიანი დღეები, დახვრეტილი მუშები, გლეხთა აჯანყება მთასა და ბარში, ემიგრაცია, გადასახლება... ბოლოს სიხარულის, გამარჯვების დღეები! რამდენი რამ აქვთ კიდევ მოსაგონარი. ეს პატარა, თმათეთრი მოხუცი ქალები არ დაგზარდებიან, არაფერს დაივიწყებენ, ოღონდაც დაგვეხმარონ ჩვენ, ახალგაზრდობას, გაამდიდ-

9082

ქ. მარქსის სახ. საქ. სახ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

რონ ჩვენი ცოდნა, დააკმაყოფილონ ცოდნის წყურვილი. ამიტომაც მადლობა თქვენ.

— არა, მადლობა რა საჭიროა, — იღიმება ელისაბედ ლეჟავა — ამ დღისათვის ვიბრძოდით, თქვენი მომავლისათვის ვზრუნავდით...

— ჩვენ, უფროსი თაობის ადამიანებს განსაკუთრებით გვახარებს თუ როგორ ახდა ყველაფერი, რაზეც ვოცნებობდით რევოლუციური ბრძოლის გარიჟრაჟზე, რისთვისაც თავდადებით ვიბრძოდით. მთელი ჩვენი ცხოვრება ხომ ლენინის უკვდავი იდეების ზეიმია! — გვითხრა



ავლაბრის არალეგალური სტამბა

უხუცესმა რევოლუციონერმა ქალმა ნინო ალაჯალოვამ. აფსუს, რომ გვერდით აღარა ჰყავთ სხვები. თუნდაც ქართულად თავდახურული ბაბე ბოჭორიძე. ჩვენი, ახალგაზრდობის, წარმოდგენით ზღაპრული ბაბე, ავლაბრის არალეგალური სტამბის დიასახლისი! ამ დღეებში განსაკუთრებით ბევრი სტუმარი ჰყავს მის „ოჯახს". მოდიან ორგანიზაციებიდან, სკოლებიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან, კოლმეურნეობებიდან. ბავშვებს თვალები გაფართოებიათ და სულგანაბული უსმენენ ექსკურსიამძღოლს. ისინი ღრმა ჭას მდუმარედ ჩასცქერიან, მერე სარდაფში ჩადიან და დიდხანს ათვალიერებენ საბეჭდ მანქანას, რომელზედაც მათი პაპები არალეგალურ პარტიულ ლიტერატურას ბეჭდავდნენ ამ სამოცი წლის წინ. აქედან გადიოდა გაზეთები, ბროშურები, პროკლამაციები, ფურცლები. აქედან ეფინებოდა ამიერკავკასიას ლენინური იდეები. აქ იბეჭდებოდა გაზეთი „ბრძოლა", „პროლეტარიატის ბრძოლა". რა დიდი იყო სიხარული რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისა, სტამბის მუშებისა, როცა კომიტეტმა დიდი ლენინის საპასუხო წერილი მიიღო: „ძვირფასო ამხანაგებო! მივიღე თქვენი წერილი „პროლეტარიატის ბრძოლის" შესახებ. ვეცდები გწეროთ და გადავცემ ამხანაგებს რედაქციაში". ეს სიხარული ალბათ ბაბემაც გაიზიარა. ხმიანობდა საბეჭდი მანქანა, ჭიდან საიდუმლო ხვრელით ეშვებოდნენ მუშები, რევოლუციონერები, და ეს ყველაფერი უდიდესი კონსპირაციით ტარდებოდა. აივანზე გადმოდგებოდა ბაბე, თავის პატარა მეურნეობას, ხეხილსა და ქათმებს გადახედავდა, სუფრას გადაფერთხავდა და თუ რამ საეჭვოს შეამჩნევდა საიდუმლო ელექტროზარით ატყობინებდა სტამბაში მყოფთ. დუმდებოდა მანქანა, მიყუჩდებოდნენ მუშები. შემდეგ კვლავ ზარი — საფრთხემ ჩაიარა, შეიძლება მუშაობის გაგრძელება...

მაგრამ... მაგრამ ერთ დღეს სახლს მეფის ოხრანკის აგენტები შემოერტყნენ. მიაგნეს. გადაჩხრიკეს. ცეცხლს მისცეს ყველაფერი. დიასახლისი შორს იყო, მაგრამ, ალბათ, გული უკვნესოდა, მისტიროდა შეჩვეულ, საყვარელ საქმეს... აი, ამისთვის მადლობა შენს ხსოვნას, კეთილშობილო ქალო — ბაბე ბოჭორიძე! თქვენი თავდადება არასოდეს დავიწყებია მომდევნო თაობებს. თქვენს ღვაწლს, საქმეებს სწავლობენ, აშუქებენ.

აი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის ოთახები. მრავალი



მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის თანამშრომლები: ნ. სტურუა, ს. ბერიძე და ზ. გეგეშიძე სტუმრად ელისაბედ ლეჟავასთან (მარცხნიდან მეორე).

მეცნიერი მუშაკი შრომობს აქ. მათ შორის ქალებიც: სოფო ბერიძე, ზინაიდა გეგეშიძე, ნადია სტურუა, იდა გუკასიანი. ...მათი საქმიანობა ჩვენს რევოლუციურ წარსულთანაა დაკავშირებული. მათ მიერ გამოცემული ბროშურები, კრებულები, რომელთა შედგენაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ, დიდად ეხმარება ახალგაზრდობას რევოლუციური წარსულის დიდი ბრძოლების შესწავლის საქმეში.

სრულდება დიდი თარიღი — რსდმპ მეორე ყრილობის სამოცი წლისთავი. ყრილობისა, რომელზეც შეიქმნა ლენინური ბოლშევიკური პარტია. საბჭოთა ქვეყანა, ქვეყანა, სადაც ხორცს ისხამს მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეები, ემზადება ამ დიდი თარიღისათვის.

თქვენც ემზადებით, ძვირფასო ელისაბედ. ესაა ზეიმი თქვენი და თქვენი მეუღლის, ძმის, თანამებრძოლების საქმისა. ზიხართ და იგონებთ... გამხდარ თითებში შრიალებს გაზეთი, სადაც თქვენი პორტრეტია, სადაც თქვენს ღვაწლზე მოუთხრობენ მკითხველებს. გაფრინდნენ წლები... სადღაა ბულულა თმა, ბრიალა თვალები?..

ნაქერალას უღელტეხილზე მიდიოდა ლამაზი ქალიშვილი, სოფლის სიამაყე ლიზიკო. ქალიშვილს ფეხები სტკიოდა, დაიღალა... უკან დარჩა ალიხანოვის დამსჯელი რაზმი... წინ გზა იყო — ბრძოლით სავსე გზა. ვიდოდა ამ გზაზე გოგონა. ბრძოლების ცეცხლში გამოატარა ლამაზი თვალები, კეთილშობილი გული. შემდეგ მოვიდა სხვა თაობები, ბედნიერი ახალგაზრდები და... თმათეთრი, მხრებში მოხრილი, ოთხმოცდაათამდე წლის ელისაბედი თვალში ჩაჰყურებს ამ ახალგაზრდებს:

„თქვენთვის ვიბრძოდით, თქვენი ბედნიერი მომავლისათვის!" აი, ამისათვის მადლობა თქვენდამი, ჩვენო დიდო დედებო!

ნ. კილასონია

# სახელოვანი იუბილე

საბჭოთა კავშირის მშრომელები აღფრთოვანებით აღნიშნავენ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში მნიშვნელოვან თარიღს — რსდმპ II ყრილობის 60 წლისთავს.

როგორც ლენინი აღნიშნავდა, ყრილობის მთავარი ამოცანა მდგომარეობდა ჭეშმარიტად რევოლუციური მუშათა პარტიის შექმნაში. II ყრილობამ საწყისი მისცა ახალი ტიპის პარტიის ჩამოყალიბებას. ეს იყო რევოლუციური მარქსისტული პარტია, პარტია ბოლშევიკებისა.

ყრილობა მაცნე იყო 1905-07 წლების რევოლუციური ქარიშხლის მოახლოებისა.

პარტიის პირველი პროგრამა, რომელიც ყრილობაზე იქნა მიღებული და ვისი შემოქმედიც დიდი ლენინი იყო, მოუწოდებდა მუშათა კლასს, რუსეთის ყველა მშრომელს დაემხოთ თვითმპყრობელობა, შემდეგ ბურჟუაზიული წყობილება და დაემყარებინათ პროლეტარიატის დიქტატურა.

პირადად მე, პარტიის წევრს 1902 წლიდან, წილად მხვდა ბედნიერება მიმეღო მონაწილეობა ლენინის იდეების განხორციელებაში, იდეებისა, რომლებიც პარტიის პირველ პროგრამას დაედო საფუძვლად. სხვა პროპაგანდისტებთან ერთად მე მასებში გამქონდა ეს იდეები, ვამეცადინებდი მუშათა და მოსწავლე ახალგაზრდობის წრეებს.

ლენინური პროგრამა აღაფრთოვანებდა ადამიანებს, მოუწოდებდა წმიდათა-წმიდა ბრძოლისაკენ. მისი განხორციელებისათვის ისინი იარაღით ხელში იბრძოდნენ რუსეთის პირველი რევოლუციის ბარიკადებზე.



ნინო ალაჯალოვა პიონერებთან

1917 წლის თებერვლის თვეში, მიწის პირიდან აღიგავა მეფის რეჟიმი. 1917 წლის ოქტომბერში პროლეტარულმა რევოლუციამ გაანადგურა ხალხისათვის საძულველი კაპიტალისტური წყობილება. დაიბადა მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყანა. ხალხი შეუდგა ახალი ქვეყნის შენებას, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას. ხალხმა ხორცი შეასხა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მიზანდასახულობას, რაც ოქროს ასოებით იყო ჩაწერილი პირველ პროგრამაში.

ჩვენ, უფროსი თაობის ადამიანებს, განსაკუთრებით გვახარებს, თუ როგორ ახდა ყველაფერი, რამეც ვოცნებობდით რევოლუციური ბრძოლის გარიჟრაჟზე, რისთვისაც თავდადებით ვიბრძოდით. მთელი ჩვენი ცხოვრება ხომ ლენინის უკვდავი იდეების ზეიმია!

ნინო ალაჯალოვა,
პარტიის წევრი 1902 წლიდან.

# პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის სახელით

„პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს დახმარება პარტიისა და სახელმწიფოსათვის სკკპ პროგრამის შესრულებაში, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების სისტემატური შემოწმების ორგანიზაციაში, კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფაში, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონების დაცვაში“

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებიდან.

სოფიო ანტონის ასული ქსოვრელი. დაბადებული 1904 წელს. მუშაობდა თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში უფროს ეკონომისტად. ბოლო ათი წლის განმავლობაში იყო ამავე ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილე. არის ლენინის რაიონული საბჭოს რვა მოწვევის დეპუტატი. სარგებლობდა წარმოების კოლექტივის პატივისცემით და სიყვარულით. პარტიის წევრი. ამჟამად პენსიონერი.

— გამოგვადგება, — თქვეს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის თბილისის კომიტეტის მუშაკებმა.

ნულ მალე სოფიო მუშაობას შეუდგა. მისი პირველი საქმიანობა შემოსული სიგნალის ირგვლივ გაიშალა. საჩივრებისა და მშრომელთა წინადადებების ბიუროს წევრები, რომელთა ხელმძღვანელად სოფიო გამოყვეს, ამ სიგნალში მოცემული ფაქტების შესამოწმებლად ზუსტი ტექნიკური ქვების ქარხანაში — „აქატში“ მივიდნენ.

ბიუროს წევრებზე ქარხნის დირექტორმა ალექსანდრე დიმიტრის ძე ბათიაშვილმა ერთის შეხედვით კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. სოფიო ერთხანს დაეჭვდა: ასეთ ადამიანზე ცუდი შეიძლება მოიგონეს, ნამდვილად იგი კარგი ხელმძღვანელი იქნებაო. მაგრამ ქარხნის კადრების ინსპექტორის სერგო მერაბიშვილის წერილი დაჟინებით იტყობინებოდა, რომ ქარხანაშ.



დროებით აფორმებდნენ მუშებს, რომლებიც სინამდვილეში არ მუშაობდნენ და მათ ხელფასს ითვისებდნენო.

სოფიო ქარხანაში თითქმის ყოველდღე დადიოდა, შედიოდა საამქროებში, აკვირდებოდა, როგორ მუშაობდნენ სულ უმნიშვნელო ოპერაციის შემსრულებლებიც კი. სოფიოს უსიტყვოდ ესმოდა მუშების. ისინი ხომ მისი პირველი მასწავლებლები იყვნენ.

...სოფიო მაშინ ახალგაზრდა იყო, თბილისის კიროვის სახელობის ქარხანა რომ გაიხსნა. ქარხანა თავდაპირველად ნავთობის საბურღავებს ამზადებდა და პირველ პროდუქციას უშვებდა. ქარხნის წინ, მუშების მაღაზიაში სოფიო აღმრიცხველად დგება და კოოპერაციის წევრებს, რომლებიც მაღაზიით სარგებლობენ, მარკებს უკრავს წიგნაკში. მუშები მასთან სამუშაოს შემდეგ შემოდიან და წასვლისას საამქროს სუნს უტოვებენ. სოფიოს შრომისმოყვარეობა ორი წლის შემდეგ იმით დააფასეს, რომ ქარხნის ბუღალტერიაში გადაიყვანეს და ჩოთქზე ანგარიში ასწავლეს. პატარ-პატარა საბუღალტრო საქმეებს სოფიო მკვირცხლად ასრულებდა და მასთან მომუშავეებმა ეკონომიურ ფაკულტეტზე სწავლის აზრი ჩააწვეთეს. მისი პირველი მასწავლებლები მუშები იყვნენ, ასეთები, ამ საამქროებში რომ არიან.

სოფიომ საამქრო დასტოვა და კადრების განყოფილებაში შევიდა. სამუშაოზე დროებით აყვანილ მუშათა სია, მათი გვარი, სახელი, მუშაობის დაწყების თარიღი, ეჭვს არ იწვევდა. მაშ როგორ დაედგინა, რომ მუშების ნაწილს ნამდვილად არ უმუშავია ქარხანაში?

სოფიო ანტონის ასულის წინ ზის დავით დავიდოვი. საბუთებში აღნიშნულია, რომ დავიდოვი მუშაობს ქარხანაში ხარატად. დავითი ამბობს, რომ ქარხანაში არასოდეს უმუშავნია, მაგრამ ქარხნის ყოფილი მთავარი მექანიკოსის ზურაბ ნანეტაშვილის მეზობელია, რომელსაც ეგზავნებოდა თბილისის ელმავალშემკეთებელი ქარხნის მუშასთან ნიკოლოზ ოსიპოვთან „აქატისათვის“ გამზადებული „შპინდელების“ მოსატანად. დავიდოვი კიდევ იმეორებს, რომ ის მოწაფეა, სწავლობს მეორე მუსიკალურ სასწავლებელში და სულით და გულით სურს სწავლა.

კეთილი.

სოფიო ანტონის ასული იბარებს ნიკოლოზ ოსიპოვს. ოსიპოვი უარს ამბობს ყველაფერზე. ის არც დავიდოვს იცნობს, არც არასოდეს დაუმზადებია „შპინდელები“.

ესე იგი, დავიდოვი მართალსაც ამბობს და ტყუის კიდეც. მართალს ამბობს, როცა აღნიშნავს, რომ არ უმუშავნია ხარატად და მის ხელფასს ალბათ თვეების მანძილზე მაინც იღებდა „ვიღაც“. ტყუის, როცა ასახელებს ოსიპოვს, როგორც „შპინდელების“ შეკვეთით დამამზადებელს. აი, ამას უნდა დაზუსტება. დავიდოვი კი ბოლომდე ვერ აღმოჩნდა მართალი და კიდევ უფრო გაართულა საქმე.

დავიდოვი მოწაფეა და მას არ ესმის, როგორ არცხვენს აღმზრდელებს. მას ხომ ყველა პირობა აქვს შექმნილი სწავლისათვის. იცის დავიდოვმა, რა ძნელი იყო წინათ სწავლა? სოფიო ანტონის ასულს სურს უამბოს თავჩაქინდრულ დავიდოვს, როგორ სწავლობდა თვითონ.

მამა რკინიგზის მუშა იყო და ერთი პატარა ოთახი ჰქონდა სოღანლუღთან. სოფელ კავთისხევიდან ნახევრადშიშველი ბავშვები მამამ თავისთან გადმოიყვანა, რომ იქნებ ლუკმა-პური ეჭმია და ქალაქის სიახლოვეც მათ სწავლა-აღზრდაში დახმარებოდა.

შუაღამით რიხინით ჩამოივლიდა სოღანლუღთან საბარგო მატარებელი. სოფიო და მისი და-ძმა აედევნებოდნენ მატარებელს. ზოგჯერ მატარებელი სულაც არ ჩერდებოდა და ბავშვები ქანცგაწყვეტილები მაინც მირბოდნენ... შუაღამის მატარებელს საფეხურზე ჩაცუცქული ბავშვები ქალაქში ჩამოჰყავდა და ჩაბნელებულ ქუჩაში ჰკარგავდა. მერე ბავშვები გაყინულ ფეხებს სკოლის შესასვლელში აბაკუნებდნენ და დარაჯს აღვიძებდნენ. ნამძინარევი დეიდა ზინა მათ საკლასო ოთახს გაუღებდა და გალურჯებული სახეების დანახვისას ღიმილს ანთებდა. გზისგან დაწყვეტილი ბავშვები სითბოში ყვინთავდნენ და როცა დღე ილეოდა, შინ გასამგზავრებლად ემზადებოდნენ.

სწავლის სურვილით გულანთებული ბავშვები დღედაღამ მატარებელზე იყვნენ აკრულნი. მაშინ სოფიო პირველ კლასში იყო და ასე გაგრძელდა წვალება, სანამ რევოლუციამ არ მოუსწრო.

— დავით, დავით, შენ არ უნდა გეთქვა ტყუილი... — სოფიო ანტონის ასული თავს აქნევს და დავიდოვის საქმეს ხურავს.

და საქმე, რომელიც ეგონათ, რომ ერთ კვირაში გაირკვეოდა, საოცრად დაიქსაქსა. ფაქტების შემოწმება გაგრძელდა ორი, სამი კვირა... სოფიოსთან მოდიოდნენ ადამიანები, რომლებსაც არასოდეს არ უმუშავნიათ ქარხანაში, ამბობდნენ, რომ განცხადება მათი ხელით არ იყო დაწერილი. ადამიანები ისევ მიდიოდნენ და უტოვებდნენ სოფიოს დიდ უსიამოვნო გრძნობას.

მის წინ წარმოების ფონდის განაწილების სიებია. ვინ მიიღო თანხა, რომელიც მუშებს უნდა მოხმარდეს? ყოველშემთხვევაში, ეს თანხა მუშებზე ნაკლებად განაწილდა.

უარესი ამბავი გამოირკვა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ფონდის განაწილების საქმეში. როგორც ყველა წარმოებაში, „აქატშიაც“ არის რაციონალიზატორებისა და გამომგონებლებისათვის განკუთვნილი თანხა. რა უფლებით მიიღეს იგი იმ პირებმა, რომლებსაც არავითარი წინადადება წარმოების პროცესის გასაუმჯობესებლად არ შეუტანიათ?

სოფიო ანტონის ასული შინ დაღლილი და განერვიულებული ბრუნდება და ფიქრობს: იქნებ სწორად ვერ შეაფასა საკუთარი შესაძლებლობა, როცა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის თბილისის კომიტეტში შტატგარეშე მუშაობაზე დათანხმდა? დაღლილობა თანდათან ქრება და სოფიო რწმუნდება, რომ არასდროს არ ჰქონია ისეთი საინტერესო საქმე, როგორიც ახლა აქვს, საინტერესო იმ მხრივაც, რომ აქ ადამიანების ინტერესები მაღლდება, მუქთახორები და ხალხის მოღალატენი სააშკარაოზე გამოდიან, სახელმწიფოს ძლიერება მტკიცდება.

„აქატის“ ქარხნის ხელმძღვანელებმა პასუხი აგეს თავიანთი დანაშაულისათვის. წარმოებაში წესრიგი მყარდება იმ ღონისძიებების საფუძველზე, რაც გაატარა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის თბილისის კომიტეტმა. ახლა სოფიო ანტონის ასული ახალ ობიექტზე წავა, იქ, სადაც ელიან სამართლიანობის აღდგენას, სადაც სოფიო ქსოვრელი გამოცხადდება პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის სახელით...

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციფრები არ ღლის

ექიმობაზე ოცნებობდა. ბავშვობიდან აჰყვა ეს სურვილი. ახლაც გული სწყდება — ისედაც შუქიან თვალებს სინათლე ეძალება, დაბალი მობუბუნე ხმით საუბრობს იგი და გრძნობ, ფიქრით როგორ ჩარბის მოგონებათა ხვეულ კიბეზე.

ჰო, ექიმობაზე ოცნებობდა. მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო." მამით ადრე დაობლებულს, ცხოვრება-ლხინი ფიქრითა და საზრუნავით შეეცვალა. დედის ნაჯაფარი სახის შემხედვარე, თითებზე ითვლიდა წლოვანებას: „ცოტაც, ცოტაც, მეც შევძლებ გამოვადგე ოჯახს, ქალაქს წავალ, სამსახურს დავიწყებ."

1926 წელს სტატისტიკური სამმართველოს ხაზით მოსახლეობის აღწერა ჩატარდა, რომელშიც ელენე მაჩაბელმაც მიიღო მონაწილეობა. ამ შემთხვევამ საბოლოოდ განაპირობა ექიმობაზე მეოცნებე ქალიშვილის ბედი: იმავე წელს შტატში ჩაირიცხა სტატისტიკოსად.

უკან დარჩა სოფელი ქურთა და ლიახვის წყალმაძღარი სანაპიროები — იაიათი და ბაიაყვავილებით, მაჩაბლიანთ მამაპაპისეული სახლი და ეზო-ბოსტანი; დედა და დაც საბოლოოდ თბილისში გადმოსახლდნენ.

მერე ლარივით გაიჭიმა და ახმიანდა ცხოვრება, შრომისმოყვარე ქალმა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებაც შესძლო, სამსახურში წინსვლაც და ამხანაგ-მეგობრებისა და თანამშრომლების სიყვარულის შემომტკიცებაც.

„ჩვენი ელიკო, ჩვენი ელიკო", სხვაგვარად არც ახლა ეხერხებათ დაუძახონ, თუმცა „ელიკო" სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილეა და მეხუთე ათეულსაც გადააბიჯა.

მეხუთე ათეული?! მერე რა! ციფრები არ ღლის მაჩაბლის ქალს. რაა მეხუთე ათეული, როცა ყოველდღე მისი თითები საანგარიშოზე მილიონობით ციფრებს აგროვებს, როცა ეს ციფრები ჩვენი რესპუბლიკის წინსვლაზე და დოვლათზე ყვებიან, როცა ციფრებს იქით კუნთმაგარი, სახეგარუჯული ადამიანები დგანან, როცა ყველაფერი რაც კი ბუნებას, ადამიანის მკლავსა და გონებას შეუქმნია, მისი დაკვირვებისა და აღრიცხვის ობიექტია.

აღრიცხვიანობა, გეგმიანობა, სახალხო მეურნეობის დინამიურობა — აი, სოციალისტური ქვეყნის ერთერთი უპირატესობათაგანი ბურჟუაზიულ ქვეყნებთან შედარებით. ვ. ი. ლენინი მთელი თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მეცნიერული მოღვაწეობის პერიოდში დიდ ყურადღებას უთმობდა სტატისტიკას და მოითხოვდა მისი ყველა წვრილმანის ბეჯით და ზუსტ შესწავლას.

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მეტად საპასუხისმგებლო და ფაქიზი მოვალეობა აკისრია. იგი ასრულებს ერთგვარი სარკის როლს, რომელშიც მთელი სიგრძე-სიგანით უნდა გამოჩნდეს როგორც წინსვლა და გამარჯვება, ასევე ყოველგვარი მანკი და ხინჯი. მის მიერ არასწორად მოწოდებულმა თუნდაც ერთმა ციფრმა შეიძლება ზიანი მიაყენოს ამა თუ იმ უბანს.

და ასეთ სერიოზულ საქმეს ემსახურება ელენე მაჩაბელი. ამ ციფრებს და მოვლენებს თავისი საქმიანი ცხოვრების წლები შეალია და არც ნანობს, 1926 წლიდან მოყოლებული მის თვალწინ გაირბინა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ავ-კარგმა.

სტატისტიკური სამმართველოს მთელ კოლექტივთან ერთად ელენე მაჩაბლის მოუსვენარი ხელი რიცხავს ყოველწლიურად სოციალისტური შრომის გმირების, შუქურების, ახალ-ახალ წამოწყებათა თაოსნების რიცხვსა და საქმიანობას, მათ მიერ მოკრეფილი ჩაის, ციტრუსების, დაბარული ვენახის, ამოღებული ჭარხლის რაოდენობას. ზეპირად იცის რამდენი მილიონერი კოლმეურნეობაა რესპუბლიკაში, გვალვამ და სეტყვამ რომელ წელს სად გაუცრუა ნაჯაფარ ადამიანებს იმედები.

ასეა, ციფრები არ ღლის მაჩაბლის ქალს.

როცა სამუშაო დღე მიილევა, როცა მისი კაბინეტიდან სათითაოდ გაიკრიფებიან თავშეყრილი თანამშრომლები, როცა ციფრები დაშოშმინდებიან, ელენე უკანასკნელი გამოხურავს სამმართველოს კარს და ფრთხილად ჩაუყვება დაკიდებულ კიბეს.



პავლოვის ქუჩის კუთხეში სახლია, ასეთი სახლი ბევრია აქაც და სხვა ქუჩებზეც, მათი რიცხვიც კარგად იცის სტატისტიკოსმა, მაგრამ კუთხის სახლი სულ სხვაა, იგი თითქოს სხვა სახლებზე მაღალია, ნათელი და ფართო. მესამე სადარბაზო შესასვლელში შესული სმენას გაიმახვილებს... თითქოს დიდ ზარს შემოჰკრესო, ისე დიდდება და ხმიანდება ნორჩი თითებით გამოცემული ხმები. „მეცადინეობს, მეცადინეობს, ბეთჰოვენის სონატას უკრავს" — ავტომატურად ჩნდება ნაცნობი აზრი და სულმოუთქმელად არბის კიბეზე.

ცამეტი წლის გია უკრავს. მას უყვარს, ძალიან უყვარს მუსიკა, ბავშვის სმენამდის მაინც გარკვევით აღწევს ინგლისური საკეტის მსუბუქი ტკაცუნი, ასევე მსუბუქად შემოდის დედა და მხარზე ადებს ხელს.

გულში კი რეკავს, გუგუნებს დიდი ზარი. მისი ბიჭიკო ჯერ 13 წლისაა. ელენემ დიდხანს, დიდხანს უნდა იცოცხლოს, ყველასათვის, შვილისათვის. მერე რა, რომ მეხუთე ათეულს გადააბიჯა! ციფრები არ ღლის მაჩაბლის ქალს!

ნანული ცაგარეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოთხრობა

მხატვარი ნანა მესხიძე

# დისპეტჩერი

ხშირად მსმენია: სილამაზე ქალის საქმეა, მამაკაცს ვაჟკაცობა ამშვენებსო. მეეჭვება, რომ ეს მთლად ასეა. არ გჯერათ? მაგალითსაც დაგისახელებთ: მოწინავე ბრიგადის თავკაცია ჩვენი რეზო და ვერც ვერავინ შეეცილება პირველობაში. ბედი ზოგს უხვად ასაჩუქრებს. ნამდვილად მოგხიბლავთ რეზოს აღნაგობა: მაღალი, მხარბეჭიანი... შუბლზე მუდამ ჩამოშლილი ხუჭუჭი თმა, კოხტად შეკრეჭილი ულვაშები, ცეცხლოვანი თვალები...

მარტო გარეგნობით როდი გვჯობნის, საქმეშიც გაგვისწრო და, რაკი ერთხელ წავიდა წინ, ველარც მივეწიეთ. იქნება ამაში ჩვენც მიგვიძღოდეს ბრალი, მაგრამ ფაქტი ფაქტია. რეზო საამქროს თვალისჩინია. მე ერთი ნასოფლარი ბიჭი გახლავართ, ჯმუხი, ღონიერი; დინჯი ხასიათითა და კეხიანი ცხვირით „დამაჯილდოვა" ბუნებამ. ამ უხეირო ცხვირის წყალობით ხომ სიყვარულმაც უწყალოდ დამჩაგრა.

რეზოს ბრიგადა თუ მოწინავეა, ჩემი არც იქით არის და არც აქეთ, ხან შევასრულებთ გეგმას, ხან ცოტათი დავაკლებთ. ასე რომ ჩამორჩენილებში მაინც არ ვითვლებით. ბრიგადაში ცუდი ბიჭები როდი მყავს, მაგრამ თავად მე უზომოდ ხათრიანი ვარ და, რეზოც ოსტატურად იყენებდა ამ აქილევსის ქუსლს. ჩვეულებრივ რეზოს ბრიგადას ჩვენ ვცვლით, რაკი ახლო მეგობრები ვართ და, ისიც იცის, ჩხუბი და აყალ-მაყალი არ მიყვარს, ცვლას ხშირად მოუწესრიგებელს მაბარებს, მის მიერ მოშლილი დგანების შეკეთებისას ხშირად საათები გვიცდება.

გეგმის შესრულების მაჩვენებელ დაფასთან რომ შევხვდებით, რეზო ირონიულად გამიღიმებს და მხარზე ხელს დამარტყამს.

— ჯანჯალი კაცი ხარ, ჩემო საბა, ჯანჯალი, ისევ ჩამორჩები, — მეტყვის და გაიბადრება. მე კი ჩვეულებრივ შევიშმუშნები და ზურგს ვუჩვენებ, ყველა ხომ მოწინავე არ იქნება.

ალბათ, დიდხანს გაგრძელდებოდა ასე, ახალი დისპეტჩერი რომ არ ამომდგომოდა მხარში.

ერთ დღეს, რეზოსაგან ცვლას რომ ვიბარებდი, თმაკულულა, ლურჯ ხალათში გამოწყობილი ლამაზი ქალიშვილი წამომადგა თავზე.

— მე ახალი დისპეტჩერი ვარ — მაშინვე გაგვაცნო თავი — ასე გვიან რატომ იბარებთ ცვლას? — წარბშეყრით გადმოგვხედა მან.

— ეს-ეს არის დაასუფთავეს დგანები, ისე ხომ არ ჩავიბარებდი. — მოგვიანებით ამოვღერღე, ერთდროულად შემკრთალმა და გაოცებულმაც.

— ყველა თავის ცვლაში უნდა ჩაეტიოს. ჟურნალში ჩასწერეთ, — მკაცრად დაამატა და სხვა მხარეს მიაშურა.

— ვა, ეს რა მტრედი მოფრენილა?! — ხმა ამოიღო რეზომ.

— კარგი მტრედია, ისე ენაპილპილაც კი უნდა იყოს. — გადავკარი მეც.

— მოკვდეს ბიჭი, ენა არ დაუთაფლოს. არ დააყოვნა რეზომ და ცერად გახედა მიმავალს. ანაზდად გულში ნემსივით მიჩხვლიტა მისმა სიტყვებმა. რეზოს ქალთა მოტრფიალეს ეძახიან. მართალია, რამდენსაც ქუხს, იმდენს როდი წვიმს, მაგრამ, მაინც არ მესიამოვნ მისი დანაქადი.

ეთერის (ასე ეძახიან ახალ დისპეტჩერს) რიდით თუ იყო, — რეზომ მეორე დილით ცვლა დროზე ჩამაბარა. სამაგიეროდ დგანები მთელ სამ საათს ვერ მოვიყვანე წესრიგში. არც გამიმხელია: თავს ვიდე, — რაც იქნება, იქნება, გავუძლებ, კამეჩის კისერი მაქვს მეთქი.

მთელ დღეს თავს დამტრიალებდა ეთერი, ხან მარიგებდა, ხან უფრო სარფიან დაკვეთებს მაძლევდა, ხან შემომიტევდა. მერე და რარიგი გამოხედვა აქვს, ცეცხლს შეგინთებს... დისპეტჩერი საამქროს მაჯისცემაა. ის ყველგან გამოჩნდება, სადაც საჭიროა. მისი განკარგულება და მარჯვე ხელი ტონს აძლევს მუშაობის რიტმს. კარგი დისპეტჩერი საქმესაც სანაქებოდ წაიყვანს. რომ იტყვიან, არც წყალია და არც ღვინოო, ზედ გამოჭრილი იყო, წინა დისპეტჩერზე: ერთთავად კაბინეტში იჯდა, საამქროში მტვერი და ხმაურიაო, ტელეფონით იძლეოდა განკარგულებებს, კიდევაც დროზე მოგვაშორეს.

ეთერმა გაცხარებაც იცის და, მერე როგორი!

ერთხელ დგანი მოგვეშალა, რომელილაც ხრახნი მოძვრა. ზეინკალს გამოვუძახეთ, მათზე ადრე დისპეტჩერი გაჩნდა ადგილზე.

— რას გაჩერებულხართ? — საქმიანი კილოთი იკითხა მან.

— ჭანჭიკი მოიშვა სამაგრზე — გაეპასუხა მას ერთი აყლაყუდა მუშა.

— მერე და, ამოდენა დოყლაპია ერთ ჭანჭიკს ვერ მოერიე? — შეუტია მას და ქანჩს დაწვდა. აბა, ვინ დაანებებდა, მაგრამ ლხენა მოგეცათ, გვარიანად კი დაგვცხა...

...მართლაც რომ დაუვიწყარია ის საღამო, პირველად რომ სახლამდე მივაცილე ეთერი. არ ვიცი, მთვარე უფრო პირბადრი იყო, თუ ის. ნიავი თმას უშლიდა, ვარსკვლავები თვალებს ნაბავდნენ, მეც სულგანაბული მივსდევდი და გაუთავებელი დუმილი მიფორიაქებდა სულს.

ეთერის მოსვლის დღიდან რეზოს შინ წასვლა ხშირად ავიწყდება. ერთთავად დისპეტჩერის კაბინეტს არ ცილდება, ხან რას იმიზეზებს და ხან რას. ისიც კი შევნიშნე, რომ ქალიშვილი მრუდე თვალით უყურებს მას და, ეს სიხარულს მმატებს. ამას წინათ რეზოც გამოტყდა: ასეთი გულყინულა ქალის მნახველი არა ვარო!

— მაინც ვერ დაეწიეთ, არა, რეზოს ცვლას? — ფიქრი გამაწყვეტინა ეთერის ხმამ.

— ვერ დავეწიეთ, — ანგარიშმიუცემლად გავიმეორე და შევკრთი. — მართალია, ჩვენი ბრიგადა თითქმის გარდაიქმნა ამ ბოლო ხანებში, მაგრამ რეზოც გაცეცხლდა, ძნელია მასთან გატოლება, — მოგვიანებით დავუმატე მე.

—„ძნელია, ძნელია," ამოგიჩემებიათ, — ისევ იფეთქა ეთერის თვალებში წყრომამ.— თუ არ გაინძერი, ვერაფერს მიაღწევ. აბა, უფრო მეტად მოინდომე, უკეთ გაისარჯე და...

— მე ძალღონეს არ ვზოგავ, მაგრამ... — ჩავიდუდღუნე ნირწამხდარმა.

— დიაღაც რომ ზოგავ. აბა, მეტი მოსთხოვე შენს თავს, შენს ბიჭებს! — მან ისევ შეიცვალა ხმის კილო. ახლა ნაზი და სათნო გახდა მისი თვალები, — მე მჯერა შენი. შენ შეგიძლია, ჩემო საბა, გაუსწრო მას, მოინდომე, თუნდაც ჩემი გულისთვის... — მერე დამემშვიდობა და კარებს მიეფარა. გარინდული ვიდექი დიდხანს და, არ ვიცოდი, რა მეფიქრა, ნუთუ მან მითხრა ეს? მან?..

მისმა ერთმა სიტყვამ ღამეები დღედ მიქცია, ჩემი ფიქრი და გონება ერთთავად დაისაკუთრა ეთერმა და ჩემს სულში რაღაც უხილავი ცეცხლი დაანთო.

დილით ადრე გავჩნდი საამქროში, ყველა უბანი გულმოდგინედ შევათვალიერე. ცვლის მიღებისას პირველად შევლაპარაკდით მე და რეზო.

— გეყოფა თვითნებობა, დგანი წესრიგში ჩამაბარე.

— რაო, დათვო, რამ შეგიფრთხიალა სულში, როდის აქეთ გახდი ასეთი მარჯვე? —შეეცადა ოხუნჯობას.

— შენი სიმარჯვეც მეყოფა, საქმეს მიხედო, ის გირჩევნია, — შევუბღვირე ისევ.

— ბიჭოს! დამიხედეთ ამ დათვს.

მხრები აიწურა და ნაძალადევად გაიღიმა, მაგრამ, არც ამ ფანდმა გასჭრა; დგანი, როგორც წესი და რიგი იყო, ისე ჩავიბარე.

მოგვიანებით სადისპეტჩეროს მივაშურე ცნობების გადასაცემად. ის იყო, კარის შეღება დავაპირე, რომ რეზოსა და ეთერის საუბარს მოვკარ ყური და გავისუსე.

შენ გაასულელე ის ბიჭი. დღეს კინაღამ ქანჩი მითავაზა. ცვლას არ იბარებდა, გუშინაც საათნახევარი მოცდენა დამაწერა...

— კარგადაც მოქცეულა. ისე კი, მე რა შუაში ვარ, იმას კისერზე თავი არ აბია, თუ რა?

— ვიცი, რა თავიც აბია.

— გეყოფა, ნუ გიყვარს სხვისი დამცირება: — მკაცრად შეაწყვეტინა ეთერმა.

...მღელვარებისაგან ციებიანივით ავცახცახდი, ცოტას დააკლდა კარი არ შევაღე და არ გავუსწორდი იმ ლაქლაქას. თავი თუ შევიკავე, ისევ ეთერის გულისათვის.

ჯავრი მვალცავებზე ვიყარე. ისე ვუყვიროდი, რომ გაოცებისაგან პირი დააღეს. არ იცოდნენ რა ექნათ, ბოლოს კი დაფაცურდნენ, დაბზრიალდნენ, საქმეს უტეხად შეუტიეს. ცოდვა გამოტეხილი ჯობია, ვეფხვებივით ბიჭები მყავს, მაგრამ ხელმძღვანელობა აკლდათ.

არ მეგონა თუ ზურგს უკან სამარეს გამითხრიდა რეზო. რაკი სიტყვაძვირი ვარ, — ბევრს ჰგონია ვაჟკაცის გული არა აქვსო. მე მაინც სხვაგვარად მოვიქეცი, ბოღმა გულში ჩავიკალი. სამაგიეროდ საქმეზე ვიყარე ჯავრი. შესაძლოა, კაცს მადლიანი მარჯვენა და კარგი ცოდნაც ქონდეს, მაგრამ, თუ მოწადინება და მიზანი არ გააჩნია, ვერაფერს გახდება. მე კი ორივე: მონდომებაც და მიზანიც ერთად შევიძინე. ავტორიტეტისა და სახელისათვის საჭიროა თავდადებული შრომა და, აი საამქროს ხელმძღვანელებმა მალე შენიშნეს ჩემი ენერგიის ძალა. ყველა მეხმარებოდა და ხელს მიწყობდა. ჩემს ბიჭებს მეც ველარ ვცნობდი, ისე გამოიცვალნენ. ვივაჟკაცეთ და გამარჯვებამაც როდი დააყოვნა: თვის ბოლოს, როცა მუშაობის შედეგები შეაჯამეს, პირველობა თვითონ რეზომ მომილოცა. თან გამომწვევად მითხრა: მაჯობე, მაგრამ მომავალში მიფრთხილდიო. რასაკვირველია, წყენა დავივიწყე. ალალი გულის კაცი ვარ და ჯავრს დიდხანს არ გავიყოლებ ხოლმე.

ჩემი სახელიც მალე გასცდა საამქროს. ერთ დღეს გაზეთის ფურცლებზე დავლანდე ჩემი სურათი, შემრცხვა. მაინც დავხედე უჩუმრად.

ეთერი ჩვეულებრივად შეხვდა ამ ამბავს. ეს ყველაფერი როდიაო, დასძინა. მაგრამ, რას გამომაპარებდა? — მასაც უხაროდა, ოღონდ არ ამხელდა. ჩემი წარმატება უეთეროდ არ ყოფილა, ჩემი სიხარულიცა და მომავალიც მისგან იყო დავალებული, ფარული სიყვარული გულის კედლებს აწყდებოდა და გამოხეთქვას ლამობდა, ოღონდ...

ყველაზე უფრო იმან გამაკვირვა, რომ, ახლა, როცა მოწინავის სახელი დავისაკუთრე და ჩემი ბრიგადა საქვეყნოდ გამოაცხადეს, კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელწოდებისათვის მებრძოლად, ქალიშვილებმაც სხვანაირი თვალით დამიწყეს ყურება. ერთი წუნმდებელი გოგონა აჩრდილივით დამდევს. მიქეს, ენამერცხალა ქალიშვილიაო, ჩემთან კი რატომლაც დამუნჯდება ხოლმე...

ბიჭებიც მაქეზებენ — დროა დაქორწილდე, ისეთი ქალიშვილი მოგგვაროთ, რომ შენი მოწონებულიო. მე კი გულში მეფიქრება: რა მოხდა წელს, ადამიანებო, შარშან უფრო ახალგაზრდა არ ვიყავი, რომ ამაზე არავინ შეწუხებულხართ?



ეროვნული ბიბლიოთეკა

დღენიადაგ ეთერის აჩრდილს დავსდევდი, ხელსაყრელ დროს ვეძებდი ხვაშიადის გასამხელად.

შაბათი იყო, მზე უწყალოდ აცხუნებდა. ასეთ დროს ჩემი ქალაქის ბინადარნი —დიდი და პატარა ტყე-პარკის სტუმრები არიან. მოშრიალე ვერხვების ჩეროში იჩრდილებენ, ან ტბის ტალღებს ენანავებიან. ჰო და, მეც განვიზრახე ეთერისთვის გამევლო და გულის ჭია გამეხარებინა.

მართალია, მხოლოდ ერთხელ მივაცილე ეთერი შინამდე, მაგრამ მისამართი მაინც არ შემშლია. ვიცოდი, მეორე სართულზე ცხოვრობდა, ხელმარჯვნივ და, აი, ზარის ღილაკს თითი დავაჭირე. ვერ გეტყვით ელექტროზარი უფრო მძლავრად სცემდა, თუ ჩემი გული... ქალის მსუბუქი ნაბიჯების ხმა გაისმა. მალე გასაღებიც ახმაურდა და კარი გაიღო...

— ვინ გნებავთ? — იკითხა თმადათოვლილმა ქალმა.

— ეთერის ნახვა მინდოდა, სამსახურის საქმეზე შევაწუხე... — დავიბენი მოულოდნელობისაგან.

— ეთერი შინ არ გახლავთ, შვილო, თბილისში წავიდა ამ დილას, ქმარს უნდა დახვდეს, — თითქმის ერთი წელია შორეულ აღმოსავლეთში იმყოფება, გეოლოგიურ ძიებაზე... უი, მართლა, მობრძანდით სახლში. სადაც არის მოვლენ, მათაც გაეხარდებათ, — გულღიად შემიპატიჟა მასპინძელმა.

...მგონი უდროობა მოვიბოდიშე, რეტდასხმულივით დავეშვი კიბეზე. ნაჩქარევად მივაბიჯებდი, თავში კი ათასი ფიქრი ირეოდა და მაინც მივდიოდი, სად?

ეხ, თვითონაც არ ვიცი სად.

გივი ჯახუა,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა.



# ყველას თავისი ფიქრი აქვს...

დაზგასთან ქალი დგას. ხან გაწყვეტილ ძაფს გამონასკვავს, ხან გაკვანძულს გახსნის. წუთს წუთი მისდევს, საათს საათი. დაზგასთან დგანან ქალები. ყველას თავისი ცხოვრება აქვს და ოცნება, ყველას თავისი ფიქრები...

დაზგასთან დგას ქალი და გუგუნში სხვა რაღაც ელანდება, სხვა რაღაც ესმის. უსიამოვნოდ შეჰკრავს წარბს. შუბლზე ჩამოშლილ თმას ისე გადაიწევს, გეგონება უნდა მოიშოროს აბეზარი ფიქრები და მაინც...

...ყუმბარების ზათქმა ფეხზე წამოაგდო მარიამი. ჯერ ვერ გაერკვა, გოგონებს გადახედა. მშვიდად ეძინა სამივეს. რაღაც საშინლად გუგუნებდა გარეთ, რაღაც სკდებოდა და ინგრეოდა. ნელ-ნელა შეიშმუშნენ ბავშვები. მარო უკვე ფეხზე იდგა. წლინახევრის თინა ხელში აიტაცა. 9 წლის ციალა და 12 წლის ჯანიკო გვერდში ამოიყენა და გაიქცა. სად მირბოდა, თვითონაც არ იცოდა. მიჰყვებოდა სხვებს და მირბოდა.

ეს იყო 1941 წლის 21 ივნისის ღამეს, ბელორუსიის ერთერთ სოფელში ოფიცერი ისიდორე წითლიძე, მაროს მეუღლე, რამდენიმე თვით მინსკში იყო კურსებზე გაწვეული. აქ კი ყველაფერი იწვოდა, ხალხი რკინიგზის სადგურისკენ გარბოდა, მაგრამ ფაშისტებს სადგური დაებომბათ და ახლა აწიოკებულ ხალხს აყრიდნენ ყუმბარებს. ტყეს მიაშურეს. იქაც მოუსწრეს ყუმბარებმა. მარიამი ხედავდა, როგორ უკვდებოდათ დედებს გზაში შვილები.

ყუმბარები ცვიოდა სამი დღის განმავლობაში და მარიამი სამი შვილით გარბოდა. უცებ საშინელი ტკივილი იგრძნო, გვერდით არ იყვნენ მისი უფროსი ქალიშვილები. ერთი შეჰკივლა და იქვე ჩაიკეცა. პაწია თინიკო დედასთან ერთად აკივლდა და გულზე ჩამოეკიდა.

— მეშინია, მეშინია, დედიკო!

...გუგუნებენ დაზგები. ტრიალებენ მასრები. ჯანიკო წითლიძე გაწყვეტილ ძაფს ნასკვავს და...

...ყუმბარა ჩამოვარდა. ბავშვები მიწას გაეკრნენ. მერე ყველაფერი გაჩერდა და სადღაც გაქრა დედა და თინიკო.

მანქანამ ჩამოიქროლა. ჯარისკაცებმა ბავშვებს ხელი დასტაცეს და მინსკში წაიყვანეს.

მინსკში კი გერმანელები დახვდათ. ცეცხლის ალში იყო გახვეული ქალაქი. მოსახლეობამ შეიფარა დევნილები. მერე ბავშვები შეკრიბეს და საბავშვო სახლში მიიყვანეს. 500 ბავშვი იყო ამ სახლში.

...ჯანიკომ გაკვანძული ძაფი გახსნა და ისევ აგუგუნდა დაზგა. დღეში სამოცდაორი კილოგრამი ბამბის ძაფი უნდა გადაახვიოს, მაგრამ ჯანიკო 100-120 კილოგრამს ახვევს და გეგმას — 145-162 პროცენტით ასრულებს.

იწურება სამუშაო დღე და კრწანისის დაღმართიდან ჯანიკო სწრაფი ნაბიჯით მიდის სახლისაკენ. სადარბაზოში ბიჭი ეგებება:

— დედიკო, დღეს არ გამიჯავრებია ბებია.

ოთახიდან მუსიკის ჰანგები ისმის. ფრთხილად შედის ჯანიკო და ნანას უკან დგება...

* * *

...სწორდიიით! აინ, ცვაინ, დრაი. სდექ!

ფაშისტი გრძელი მათრახით, გაბოროტებული თვალებით ჩაივლიდა ჩამწკრივებულ გოგონებს შორის. იდგნენ შიმშილისაგან ძალაგამოლეული გოგონები, ჩამოხეულ ტანსაცმელში, ჭუჭყიანები და ელოდნენ — რომელი მათგანი იქნებოდა დღეს ფაშისტი ოფიცრის მსხვერპლი.

ორშაბათს თითო კილოგრამ უმარილო პურს მოუგდებდნენ და მომავალ ორშაბათამდე უნდა გამოეზოგა თვითეულს. რას არ აკეთებდნენ, რაზე არ მუშაობდნენ ბავშვები.

ეს იყო გერმანიის ქალაქ ხემინცში, ბავშვთა საკონცენტრაციო ბანაკში. აქ ციალა აღარ იყო ჯანიკოს გვერდით. დებმა დაჰკარგეს ერთმანეთი. ვინ იცის ცოცხალი იყო თუ არა ციალა. იქნებ ისიც იტანჯებოდა რომელიმე საკონცენტრაციო ბანაკში?

ღამე სიცივისაგან აძიგძიგებული ბავშვები ერთმანეთს ეკვროდნენ და ჯანიკო ფიქრობდა პარტიზანებზე — მინსკის საბავშვო სახლში ჩუმად რომ შემოიპარებოდნენ და დავალებებს აძლევდნენ ბავშვებს. გოგონები თვითონ დადიოდნენ ქალაქში, ყველაფერს აკვირდებოდნენ და ღამე ცნობებს გადასცემდნენ ხოლმე პარტიზანებს. ლუსია! ლუსია! ნეტა, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო თ. მოდებაძის

ცოცხალი? რატომ არ იცის ამ გმირი გოგონას გვარი, რომელმაც გერმანელთა მატარებლის მთელი შემადგენლობა ააფეთქა. განა მარტო ლუსიამ? რამდენი იყო ასეთი გმირი გოგონა ბელორუსიაში!

და ისევ ფიქრობდა დედაზე, მამაზე, ციალაზე, თინიკოზე და ისევ ელანდებოდა ფაშისტი ოფიცერი მათრახით ხელში, ყვირილისაგან ხმა ჩახრენწილი: აინ, ცვაინ.

იმ დღეს ბავშვები ჩვეულებრივად სამუშაოზე იყვნენ. თვითმფრინავებმა დაფარა გერმანიის ცა. ბავშვები აწრიალდნენ. მცველები სადღაც გაქრნენ. მერე ვიღაცამ მოირბინა და ბავშვებს ახარა:

— საბჭოთა ხალხმა გაიმარჯვა. მოკავშირეებმა აიღეს ქალაქი. თქვენ თავისუფალი ხართ.

მერე მოჰქროდა მატარებელი გადამწვარ, გადაბუგულ ტრამალებზე.

ჯანიკო მოიჩქაროდა მშობლიურ ქუთაისში. ბიძასთან და გულით ცრემლნარევი სიხარული მოჰქონდა.

ქუთაისი. ნინოშვილის ქუჩას მიჰყვება ჯანიკო. უცნობები ირევიან მისირგვლივ, მაგრამ ყველა ახლობელი და ძვირფასია მისთვის. პურის მაღაზიის წინ ქალი შენიშნა, ბეჭებში მოხრილი, მძიმე ძაძებში. ქალიშვილი შეტორტმანდა, გულზე წაივლო ხელი, დედა!

მთელი ღამე არ უძინია დედა-შვილს. მთელი ღამე უყვებოდა დედა თავის ამბავს:

მარიამს მარტო ჩვილი თინიკო შერჩა ხელში... გერმანელებისაგან თავის დაღწევის საშუალება არ იყო. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეიფარეს უმწეო ქალები. ფაშისტებმა მეურნეობაში სამუშაოდ გარეკეს ისინი.

პატარა თინიკო წუწუნებდა:

— დედიკო, მშიააა...

ერთი წელი იმუშავა მარიამმა მეურნეობაში. შემდეგ იმავე სოფლის საავადმყოფოში გადავიდა სამუშაოდ. საავადმყოფო ადგილობრივი მოსახლეობისათვის ფორმალურად იყო დატოვებული, ფაქტიურად მოკლებული იყო ყოველგვარ სამკურნალო საშუალებას. საავადმყოფოს მხოლოდ ერთი ექიმი ჰყავდა. არ იყო პური, არც წამალი. გმინავდნენ ავადმყოფები. ქალი ყოველ ღონეს ხმარობდა სითბო და ყურადღება არ მოეკლო მათთვის. მიიზლაზნებოდა დღეები, თვეები, წლები.

მერე მარიამმა ნახა როგორ გარბოდნენ ნირწამხდარი ფაშისტები, კაკანებდნენ ავტომატები, მაღლა წითელვარსკვლავიანი თვითმფრინავები გუგუნებდნენ.

უსახლკარო ქალი ძმასთან ჩამოვიდა ქუთაისში, ეძებდა ქმარშვილს, მერე ჵვად გაუხდა თინიკო. მისმა დასუსტებულმა ორგანიზმმა ვეღარ გაუძლო ავადმყოფობას და გარდაიცვალა...

იგონებდენ, ლაპარაკობდენ. განა ცოტა იყო მოსაგონარი? მაგრამ არცერთს არ დაცდენია ციალას სახელი. ორივე კი ციალაზე ფიქრობდა. იქნებ ცოცხალია?

დაიწყო მიწერ-მოწერა. ეძებდნენ ციალას... ფოსტალიონმა კარებზე მოაკაკუნა. ქალიშვილის ადგილსამყოფელს იტყობინებოდა ქალაქის სამხედრო კომისარიატი და... ერთხელ კიდევ ეფონა დედის გულს, როცა ციალაც ამოუდგა მხარში.

დებმა საშუალო განათლება მიიღეს და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყეს. დღეს ორივეს ლამაზი და ტკბილი ოჯახი აქვს.

დაზგასთან დგას ჯანიკო წითლიძე, თბილისის მეორე სატრიკოტაჟო ფაბრიკის მოწინავე მუშა და ხან გაწყვეტილ ძაფს გამონასკვავს, ხან გაკვანძულს გახსნის. დაზგასთან დგანან ქალები. ყველას თავისი ცხოვრება აქვს და ოცნება, ყველას თავისი ფიქრები... და ყველას ოცნება ერთია მაინც: მშვიდობა, მხოლოდ მშვიდობა!

ოლია რევია



# აქ ისვენებენ მშრომელები

ფუნიკულორის პლატო! — აი, ამ სიმაღლეზე ამოდიან აქ დასასვენებლად ოჯახები ბავშვებით, პენსიონერები, ახალგაზრდა წყვილები, ტურისტები.

გაზაფხულიდან შემოდგომამდე ხალხმრავალია პლატო. ყვავილებში ჩაფლული პარკის მიდამოებში მშრომელებს მთის ჰავისათვის დამახასიათებელი სიგრილე, მსუბუქ იონთა სიუხვე, მარადმწვანე ხეები იზიდავენ.

ძნელი საფიქრალია, რომ ეს სიმწვანე ან ეს ხეები წინათ არ იყო!

ხრიოკ მთაზე ორი სამიკიტნო და ორიოდე ხე იდგა. ტფილისქალაქიდან სუფთა ჰაერზე საქეიფოდ და დროს გასატარებლად მდიდრები ამოდიოდნენ ეტლებით. ცაცხვისა და კაკლის ჩრდილებში ერთობოდნენ მოქეიფენი.

1936 წლიდან დაიწყო პარკის ნამდვილი მშენებლობა და 1938 წლის 24 ივლისს იგი ექსპლოატაციაში შევიდა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ახლა მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკს დაარსებიდან ოცდახუთი წელი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა მისი კეთილმოწყობისათვის. თუ პარკს ადრე 12 ჰექტარი ფართობი ეკავა, ამჟამად ის 215 ჰექტარზეა გადაჭიმული და ხუთი ათას ძირზე მეტი მარადმწვანე მცენარე ამშვენებს. აქვს საკუთარი სანერგე, ხილის ბაღი და სასათბურე მეურნეობა, სადაც ყოველწლიურად სამი ათას ძირამდე ყვავილი გამოჰყავთ.

დიდი ყურადღება დაეთმო საბავშვო მოედნის მოწყობას. გაკეთდა სხვადასხვა სახის ავტომატური ატრაქციონები: საბავშვო კარუსელი, საჰაერო კარუსელი, მიმოხილვის ბორბალი, აიწონე-დაიწონე და სხვა. აქვე მოეწყო მოზრდილ ბავშვთათვის ცოცხალი კუთხე. გალიებში დასახლდნენ ფარშავანგი, ხოხობი, პეკინის იხვი, კურდღელი, მტრედები...

პარკის მარჯვენა მხარეს, ტელევიზიის ანძის მახლობლად მოეწყო წყნარი კუთხე — ხანშიშესულთათვის. წიწვიანი ხეების ჩრდილებში ჰამაკებია გაბმული. დამსვენებლებს შეუძლიათ მთელი დღე დაწოლილებმა ისუნთქონ ჯანსაღი ჰაერი.

აშენდა ღია კინოთეატრი და ათასადგილიანი ესტრადა, საზაფხულო ბიბლიოთეკა.

პარკს აქვს კალათბურთისა და ფრენბურთის კომბინირებული მოედანი. ზამთრის პერიოდისათვის სათხილამურო სადგური უზრუნველყოფილია ხუთასი წყვილი თხილამურითა და ციგურებით.

ადგილობრივი რადიოკვანძის საშუალებით აქ ყოველთვის წარმოებს საკონცერტო და საოპერო ჩანაწერების ტრანსლირება.



პარკის მთავარი შენობა სამსართულიანია. პირველ სართულზე მოთავსებულია ტრამვაის სადგური, სალაროები და ბავშვთა ოთახი. მეორეზე — რესტორანი, საბანკეტო დარბაზითა და ღია ვერანდებით. მესამეზე — ბიბლიოთეკა და ფართო აივანი, რომელიც გამოყენებულია საცეკვაო მოედნად. აქედან თბილისის შესანიშნავი პეიზაჟი იშლება.

ბავშვთა ოთახი ზამთარ-ზაფხულ მუშაობს. მას აქვს მოზრდილთა და ჩვილთა ცალ-ცალკე საწოლი ოთახები, მშობელთათვის — მოსაცდელი დარბაზი. როცა დაღლილი ბავშვები იძინებენ, მშობლები დასეირნობენ, ისვენებენ.

პარკის საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურით, პერიოდული გამოცემებით.

პარკის ტერიტორიაზე ამჟამად 8 საგაზეთო სტენდია, სადაც ყოველდღიურად ცვლიან გაზეთებს, უახლოეს ხანში დაიდგმება მხატვრულად გაფორმებული დიაგრამები, რომლებზეც ფართოდ იქნება ნაჩვენები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მასალები, ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების გზები. დაიდგმება აგრეთვე ახალი ატრაქციონი „რაკეტოპლანი“. ეს სიახლე ძალზე გაახარებს ჩვენს პატარებს და ამავე დროს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მათ დედამიწისა და რაკეტის მოძრაობაზე.

მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკში ხშირად ეწყობა შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან, მწერლებთან, ხელოვნების მუშაკებთან, კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრებთან.

ასეთი შეხვედრები წელს უფრო ფართო ხასიათს მიიღებს. გამოცდილების გასაზიარებლად თბილისში ჩამოვლენ მოძმე რესპუბლიკების ქალაქთა პარკების მუშაკები.

გასულ წელს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და გაზეთ „იზვესტიას“ თაოსნობით მოწყობილ პარკების დათვალიერებაში თბილისის მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკმა პირველი ხარისხის დიპლომი მოიპოვა.

ი. ჩოფიკაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტე ლოლაძე

# მაპატიებენ?

მთელი ღამე წვიმს. წვეთები ეცემა სარკმლის მინებს. ტრამვაის, ტროლეიბუსის, მსუბუქი ავტომანქანების სინათლეზე წვეთები ათასფერად ციმციმებენ. თვალი არ მეხუჭება, ძილი გამირბის.

ან რა დამაძინებს!

ის საღამოს წასულა, მაგიდაზე პატარა ბარათი დამხვდა:

— „მივდივარ, სამუდამოდ. მშვიდობით!“ წერია ქაღალდის ნახევზე.

მძიმე წუთებს განვიცდი. შვიდი წლის მეგობრობა შეწყდა ქაღალდზე დაწერილი სამი სიტყვით.

წარსულში ვიხედები...

საღამოს შვიდი საათია. ჰიდროელსადგურიდან ვბრუნდები. იქ ინჟინრად ვმუშაობ.

შინისაკენ მოვიჩქარი გახარებული. ჩემს მეგობარს ნატვრა აუხდა: საცოლემ თანხმობა განუცხადა — შენი ვარო. საღამოს ქორწილი უნდა გაჩაღდეს. წინასწარ ვოცნებობ როგორ ვიმხიარულებ ტოლ-მეგობრებში. სტუმრებს თბილისიდანაც ელიან. ქალიშვილები... ვაჟები... აბა, ნახონ როგორი მასპინძლობა შეგვიძლია.

გული გამალებით მიცემდა. თუმცა ვჩქარობდი, ქორწილზე მაინც შემაგვიანდა. როცა სტუმრებით სავსე დარბაზში შევედი, თამადას ყანწი ხელში აღემართა.

ნეფემ წყენით გადმომხედა, დედოფალმა თავი დახარა. მერე ორივემ გამიღიმა. ამით მივხვდი, —დაუდევრობა მაპატიეს. საერთო ფერხულში ჩავები. სიმღერა-ცეკვა-თამაშში ტოლს არავის ვუგდებდი. სადღეგრძელოს ვსვამდი, ვილხენდი. ერთი რამ შევნიშნე თავს: თვალები მაგიდის კუთხისაკენ გამირბოდნენ. იქ ტანად პატარა, უცნობ გოგონას დალანდავდნენ და მის მზერასაც დაიჭერდნენ, ერთი წამით, მხოლოდ ერთი წამით, გულში კი იმდენი სიტკბო ჩაიღვრებოდა, იმდენი სიამე...

შუაღამეს გადაცილებული იყო. სტუმრების უმეტეს ნაწილს ღვინო მორეოდა. აივანზე გავედი. გაგრის პარკს გადავხედე, გინახავთ ის მთვარიან ღამეში? პარკი და ზღვა ერთადაა შერწყმული. ტალღები ოქროსფრად ლივლივებენ, მთვარის ანარეკლი ნიაღვარივით ეცემა ტალღებს. არა, ამის გადატანა ტილოზე შეუძლებელია. ეს რაღაც სხვაა, ბუნების მიერ შექმნილი და განუმეორებელი. ვერ გავუძელი. მომინდა ამ სილამაზის მორევში ჩაძირვა... უცებ ზღვის პირას გავჩნდი, აღარ მესმოდა არც მექორწილეთა სიმღერები, არც ზღვის შხუილი.

— თქვენც აქა ხართ? — მომესმა ხმა. უცებ გამოვერკვიე. ჩემს მახლობლად ის გოგონა იდგა, უფრო ლამაზი და მომხიბლავი, ვიდრე მაგიდასთან ჩანდა.

— მეგონა, ლხინს ვერ მოვცილდებოდი, რა მშვენიერებაა, რა დიდებულია! — თითქოს თავს ელაპარაკებაო, ჩურჩულებდა ის.

— აქ ალბათ არასდროს არ დაეუფლება სევდა ადამიანს.

სწრაფად შემოტრიალდა, ნელი ნაბიჯით გაუყვა ბილიკს.

ასე გავიცანით მე და ქეთინომ ერთმანეთი. ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა.

ახლა ქეთინო ჩემს გვერდით აღარაა. არის მხოლოდ ქაღალდის ნაფლეთი და სამი სიტყვა.



მხატვარი ლ. შენგელია

წვიმს... წვიმს... სიბნელეს გავცქერი. ვინ არის დამნაშავე?

რა საჭიროა გიამბოთ სიყვარულზე, ყველა თქვენგანს გამოგიცდიათ ეს გრძნობა,

იმ ღამის შემდეგ წერილები... წერილები... არცერთი წუთი ერთმანეთზე ფიქრის გარეშე. როგორც კი დროს მოვიხელებდი, მასთან გავემგზავრებოდი. მიკვირდა, რატომ მიდიოდა ექსპრესი ასე ნელა. მიყვარდა ქეთინოს თვალებში ცქერა, მისი ქერა თმის მთრთოლვარე კულულები, სიცილით გახსნილი ბაგეები.

იმ წელიწადს დედაქალაქის მახლობლად ელსადგურის უფროს ინჟინრად დამნიშნეს. პირველი შვილის მოლოდინით გახარებული ქეთინო უკვე ჩემს გვერდით იყო.

გამოგიცდიათ ახალი ბინის მიღება? ან შინაურებთან კამათი? — რა ფერის ავეჯი უნდა შეიძინო! ვიცი, ყოველთვის დაგითმიათ ქალებისათვის ავეჯის ფერის შერჩევა, განლაგება. მეც დავუთმე ჩემს ქეთინოს და ჩვენი ბინა ლამაზი, მყუდრო შეიქმნა.

ეშმაკმა მძლია. რა მოხდა, როგორ დაიწყო, ახლაც არ მესმის. ერთხელ სამსახურიდან სახლში მივიჩქაროდი. ორი ნაცნობი შემხვდა. რესტორანში შემიპატიჟეს. შუაღამისას დავბრუნდი შინ. ბუნდოვნად მახსოვს: ქეთინოს არ ეძინა.

— მოდი? — მეუბნება და ცხელ ყავას მთავაზობს, მერე განაგრძობს — ეს რომ გაგვიჩნდება, ნაღვინევი აღარ მოხვიდე შინ. მე კი, მე... არა უშავს რა, გაპატიებ. ოღონდაც, იქით ნუღარ შეუხვევ.

ქეთინო ნაძალადევად იცინის, ვგრძნობ, რა ცუდი ასატანი ვარ — მთვრალი.

თავი ვერ შევიკავე, თრობა მეორდება, იგივე ნაცნობები გადამეკიდნენ. რაკილა ქეთინო მომთმენია, მეც სახლში ნაშუაღამევს ვბრუნდები.

თანდათან ფართოვდებოდა ნაცნობთა წრე. სად გავექცეოდი, თუ დღეს მან დახარჯა, ხვალ ჩემი ჯერია...

ქეთინომ რამდენჯერმე გამაფრთხილა:

— შენი ჯანმრთელობისათვის სმა მავნეა!

— ნუ მასწავლი! — შევუღრენდი.

ქეთინოს მშობლები ალერსიანად მექცეოდნენ, არაფერს მაგრძნობინებდნენ. ჩემი ქცევა დედაჩემს შეუტყვია, ქორივით დამეცა თავს. ორი დღით ჩამოსულმა, ერთი თვის სამყოფი საყვედური მითხრა. ქეთინოს გავებუტე, მაბეზღარა ვუწოდე. მთელი ათი დღე ხმა არ გავეცი.

იჯდა ქალი და იტანჯებოდა.

მალე სამსახურში გაფრთხილება მივიღე: ღამით ნაბახუსევს, დღით მუშაობა მიძნელდებოდა.

წვიმს, ღამეა ბნელი. ჩემს გონებაშიც შავი ფიქრები ირევიან. ვიღაც და რაღაც დემონივით დამხარხარებს, დამცინის: იყავი მარტო! მარტოობის ღირსი ხარ შენ! იცინის ის ვიღაც და გულს მისერავს... როდის გათენდება!

...უკვე საკმაოდ მთვრალი ვიყავი, სარდაფიდან რომ გამოვედით. სოკრატი გვეპატიჟებოდა: ერთ ადგილას უნდა წავიდეთო. კარგად მახსოვს ნახევრადჩაბნელებული ოთახი, გაშლილი მაგიდა, მაგარი სასმელები...

ის სახლი ერთ ბნელ შესახვევში იდგა. ჩემი ბინის ნაცვლად იმ შესახვევისაკენ გამიწევდა გული. იქ ისინი, ჩემი ამფსონები მელოდნენ.

ახლა გათენების მეშინია. ელსადგურში ავარია მოხდა. მე, მხოლოდ მე ვარ ამაში დამნაშავე. განა არ ვიცი? სპირტის ბანგით გაბრუებულმა უდროო დროს ჩავრთე აგრეგატი.

ქეთინო დავკარგე. ოჯახი დავანგრიე. ხვალ ამხანაგური სასამართლო მელოდება. განა გამწირავენ ამხანაგები, ქეთინო, ჩემი პატარა უენო გოგონა? არა, არ მაპატიებენ და ახიც იქნება ჩემზე. ან რად უნდა მაპატიონ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 25 ტონა ჩაისათვის

სკოლის მერხი რომ დატოვა, დალი წივწივაძემ მაშინვე წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობას მიაშურა. სამტრედიის რაიონში ეს ერთერთი დიდი კოლმეურნეობაა. დალიმ კოლმეურნეობაში მოსავლელად 0,3 ჰექტარი ჩაის პლანტაცია გაიპიროვნა. ნაკვეთი მოუვლელი იყო და დალიმ იგი პირველად ეკალ-ბარდებისაგან გაწმინდა. შემდეგ ჩაის ბუჩქებში მინერალური სასუქები შეიტანა და მსუბუქად გადაბარა. პლანტაციამ როგორც იტყვიან, თვალში გამოიხედა.

დადგა 1960 წლის გაზაფხული. ბუჩქებმა კოჩორი დაიყენეს

დაიწყო ჩაის კრეფა. დალი გამოცდილების შესაძენად გაეცნო მოწინავე მეჩაიეების შრომას. მისმა გულმოდგინებამ ის შედეგი გამოიღო, რომ თავის ნაკვეთზე 4 ტონა და 100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ახალგაზრდა მეჩაიეს წარმატებას ულოცავდნენ. ეს მაჩვენებელი უფრო გაზარდა მომდევნო წელს — 5.996 კგ ჩაის ფოთოლი ჩააბარა სახელმწიფოს.

შრომისმოყვარე ახალგაზრდამ 1961 წლის დეკემბერში კოლმეურნეობაში მეჩაიეთა ახალგაზრდული რგოლი ჩამოაყალიბა. რგოლში 7 კომკავშირელი და ახალგაზრდა გაერთიანდა. მოსავლელად ორი ჰექტარი პლანტაცია გაიპიროვნეს. რგოლის წევრებმა საუკეთესოდ დაამუშავეს პლანტაციები, მინერალურ სასუქებთან ერთად საკმაოდ შეიტანეს გადამწვარი ნაკელი და მთლიანად გადაბარეს. კარგად მოვლილი პლანტაციების იმედი ჰქონდათ დალის და მისი რგოლის წევრებს, როცა 1962 წლისათვის 18 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა ივალდებულეს. გეგმა კი 8 ტონას ითვალისწინებდა. დალი წივწივაძემ და მისი რგოლის წევრებმა მეტი ჩაისათვის ბრძოლაში სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სოფელ მათხოჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეთა ახალგაზრდული რგოლი, რომელსაც ნიაზი ბარაბაძე ხელმძღვანელობდა.

ყოველდღიურად იზრდებოდა მეჩაიეთა შრომითი მაჩვენებლები. სეზონზე რგოლმა 20 ტონა და 943 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, პირადად დალიმ კი 0,3 ჰექტარი პლანტაციიდან 8 ტონა და 401 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ჩააბარა სახელმწიფოს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ დალი წივწივაძის რგოლი წელს 25 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთლისათვის იბრძვის. დილიდან საღამომდე პლანტაციებში არიან მკრეფავები. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

**გ. გეგუჩაძე**

# მოწინავე მეწველის გამოცდილება

წარჩინებული მწველავი ალექსანდრა კვერნაძე სოფელ მაღლაკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 1937 წლიდან მუშაობს. რა არის ალექსანდრა კვერნაძის წარმატების საფუძველი?

უპირველესყოვლისა ის, რომ სუფთად ინახავს როგორც პირუტყვს, ასევე სადგომ ბაგებსა და საკვებურებს. ძროხებს კვებავს ზოოტექნიკური ნორმებისა და წესების ზუსტად დაცვით.

მისი „რეკორდსმენი" ძროხებიდან დღიური წველადობით გამოირჩევა „ირმა 91". მეხუთე ლაქტაციაზე იგი დღიურად იწველიდა 35 კილოგრამ რძეს.

ასევე კარგი მაჩვენებლები აქვს „იანვარკას", რომელიც მეორე ლაქტაციის დროს დღიურად იწველიდა 22 კილოგრამ რძეს.

ალექსანდრა კვერნაძე მუშაობას იწყებს დილის 5 საათიდან. ის ფერმაში მისვლისთანავე ასუფთავებს საკვებურებს და ბაგებს, პირუტყვს აძლევს უხეშ საკვებს (დაჭრილი ჩალა), ძროხებს ასუფთავებს ჯაგრისით, ხოლო შემდეგ წველის დაწყებამდე 20 წუთით ადრე აძლევს მათ წინასწარ ცხელი წყლით შემზადებულ კონცენტრულ საკვებს. რა თქმა უნდა, ალექსანდრამ იცის თვითეული ძროხის „ხასიათი", თუ რომელი ძროხა როგორი მადით ჭამს კონცენტრულ საკვებს, რასაც ითვალისწინებს საკვების შემზადებისა და მიწოდებისას.

ალექსანდრა წველას იწყებს დილის 6 საათზე და ამთავრებს ერთი საათის განმავლობაში. შემდეგ ძროხებს ისევ უხეშ საკვებს (დაჭრილი ჩალის სახით) აძლევს. 12 საათზე პირუტყვი ერთი საათით გაჰყავს ჰაერზე.

პირუტყვის გარეთ ყოფნის დროს ალექსანდრა ხელახლად ასუფთავებს მათ სადგომებს და საკვებურებს, ამზადებს სილოსს. დღის პირველ საათზე მას კვლავ ბაგაზე შემოჰყავს პირუტყვი და იწყებს მაღალპროდუქტიული ძროხების მეორედ წველას. 5 საათზე ალექსანდრა ისევ ანაყრებს პირუტყვს შემზადებული კონცენტრული საკვებით. იგი ულუფას თანდათანობით უდიდებს იმ ძროხებს, რომლებიც შესაბამისად ყოველდღიურად ზრდიან წველადობას.

საღამოს 6 საათზე იწყება პირუტყვის მესამედ წველა, რომლის შემდეგ მას ისევ ეძლევა უხეში საკვები, სუფთავდება სადგომები. მუშაობა საღამოს 9 საათისათვის მთავრდება.

ზემოთჩამოთვლილი სამუშაოები სრულდება პირუტყვის ზამთრის ბაგურ პირობებში შენახვის დროს. მთელი ზაფხულის განმავლობაში კი ალექსანდრას უზრუნველყოფილი ჰყავს ძროხები მწვანე ბალახით. გაიშლება თუ არა აკაციის ყვავილები, ალექსანდრას ყოველთვის ნახავთ გოდრით ხელში, იგი ძროხებისათვის ეზიდება აკაციის ფოთლებსა და ყვავილებს.

ასეთი თავდადებული შრომის შედეგია ის წარმატებები, რომლებსაც ალექსანდრა კვერნაძე აღწევს წველადობის გეგმების შესრულებაში.

**ნადია ხაზარაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცირა ქიტიაშვილი

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

კოლექტივის ბეღელში,
სწორედ ბეღლის კართან,
დაგორავდა ხორბალი,
ის სხვებს არა ჰგავდა!

გარეთ გასვლას ითხოვდა:
„მზესთან მინდა, კარში“,
ამიტომაც პირველი
მოხვდა ტომარაში.

მერე სავსე ტომრები
გადაჰკიდეს ცხენებს,
და ხორბალაც წისქვილის
გზაზე გაუყენეს.

აქაც ჩხუბობს ხორბალა,
არ ჩერდება, არ დგება.
უწყრებიან და-ძმები:
„ჩუმად, ნუ ხარ თავნება!“

„არ წამოვალ წისქვილში,
ჩქარა გარეთ გამიშვით!
ყველას ცხვირპირს დაგამტვრევთ,
თუ კი ვინმე დამიშლით...“

გაატარეს, გამოძვრა
ვიშითა და წვალებით,
გადმოხტა და სიმწარით
დააჭყიტა თვალები:

რა ქნას ბიჭმა, ხორბალამ,
ჯაგნარებში აგდია,
დიდი ჭიანჭველები
ადიან და ჩადიან.

ახლა რაღა იღონოს,
თავის გადასარჩენად?
შესდგნენ ჭიანჭველები —
მოიჩრდილეს მარჯვენა.

გაეხარდათ: — შეხედეთ!
რა მარცვალი, რამხელა!
შეეშინდა ხორბალას,
მაგრამ უჭირს გამხელა.

მერე ჯარმა მრავალმა
აიკიდა წვალებით.
კვნესის ჩვენი ხორბალა,
კვნესის განაწამები.

წაიღეს და გათხარეს
ერთი დიდი საცავი,
შეინახეს ზამთრისთვის
საგანგებო მარცვალი.

იწვა ჩვენი ხორბალა,
დღე-დღე სიკვდილს ელოდა.
მისთვის არვის ეცალა,
არც არავინ შველოდა...

მოიხურა ბუნებამ
თოვლის თეთრი საბანი.
ისევ ღამე უკუნი,
ისევ ცივი საკანი.



პატიმარი ხორბალა
შებოჭილი ვერ ძლებდა,
გაზაფხულზე ოცნება
ლამაზ თვალს უცრემლებდა.

და როდესაც მერცხალმა
გაზაფხული ახარა,
პატიმარმა ნელნელა
შავი მიწა გათხარა,

ჯერ ამოყო ხელები,
მერე თავიც ასწია,
მაგრამ ცელქმა ნიავმა
უცებ გადაარწია,

ამოვიდნენ, გაოცდნენ,
რა პურია, რა პური!
მოაგორეს ტრაქტორი,
დასცხეს მამაპაპური.

ყველა ეკალს, ყველა ჯაგს
შეაყენეს ბორბალი.
და დათესეს ყამირზე
საგანგებო ხორბალი...

ახლა, როცა ნიავი
მზის ამოსვლას გვახარებს,
მოუნდებათ სიმღერა
ნაჯაგნარში თავთავებს.



მერე თოვლის ნაყურმა
ჩამობანა ხელპირი,
ასე გაჩნდა ჯაგნარში
პაწაწინა ჯეჯილი.

უცინოდა მზექალა
გულითა და ცხრა თვალით,
იზრდებოდა ჯაგნარში
საგანგებო თავთავი.

დაინახეს ჩიტებმა
და ატეხეს განგაში:
„კაფე-თესეთ, გლეხებო,
აქ ამოდით ჯაგნარში!"

ირწევიან და ასე
ხმაშეწყობით მღერიან:
ვინც მზისაკენ მიიწევს
მუდამ მშვენიერია!

მერე წვიმას, ჟუჟუნას,
თავს უშვერენ ხალისით,
რომ ხორბალას მსგავსები
გაიზარდონ ხვალისთვის!





ელექტრონული ბიბლიოთეკა

ნია აბესაძე

## მზე მუდამ ამოდის

ომგადახდილი მიწა ინახავს
ძველ ჭრილობებში ჩარჩენილ
ნაღმებს
მაინც განთიადს მოელის ახალს
და ყოველ დილით ლურჯ
სარკმელს აღებს,

ცა მთას და ველებს მოკითხვას
უთვლის,
რომ ძველი წყლული აღარ
სტკიოდეს..
დედამიწაზე არ არის წუთი,
სადმე მზე რომ არ ამოდიოდეს!

## ზღვა რას აგონებს

ზღვაზე ტალღები გაშლილან
ფართოდ—
ზღაპრული არის ცისფერი თმები,
ტალღაზე მთვარე ქანაობს მარტო.
მიმალულ გემებს მისდევს და
ქრება.

ზღვის ლაჟვარდ ბელტებს ნეტავი
ვინ ხნავს?
მთვარის ნატეხებს ვინ
მოაგროვებს?
ზღვა რას მაგონებს?
— ამას ნუ მკითხავ,
ის მკითხე მხოლოდ რას არ
მაგონებს!.

ეს ვარსკვლავებით ნაჭედი ზეცა
და ზღვაც იისფრად რატომ
ქცეულა?
ალბათ, ზღვას ცაზე ყოფნა თუ
შერცხვა,
ალბათ, ზღვაც ციდან გამოქცეულა.

ზღვას ზოგან თმებსაც უთეთრებს
რისხვა,
ისიც ხან მღერის და ხან აგოდებს...
ზღვა რას მაგონებს?
— ამას ნუ მკითხავ,
ის მკითხე მხოლოდ რას არ
მაგონებს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირინა რაქშა



მოთხრობა

მხატვარი დ. ერისთავი



დედაკაცი დიდხანს იდგა გზისპირად. დამჭკნარი, დანაოჭებული ხელები ჭუჭყიან წინსაფარქვეშ ამოეწყო და მეზობელი ქოხის სარკმლებს გაჰყურებდა. ზურგსუკან, სასოფლო ავტოგზაზე, ხრიგინით ჩაუარა ლურჯმა ავტობუსმა. შემდეგ ბრდღვინვით ჩაისრიალა მძიმედ დატვირთულმა თვითმცლელმა, ბორბლებქვემოდან ტალახის შხეფებს ისროდა. იგი კი იდგა. ვერ გადაეწყვიტა ქოხში შესვლა.

ხოლო ქოხში ჟღრიალი გაჰქონდა რომელიღაც მელოდიას, იდგა რადიომიმღები კუთხეში და თავისი მწვანე, დაჭყეტილი თვალით შესცქეროდა რუსული ღუმელით გაწყობილ ოთახს, მოხუც დიასახლისს, რომელიც კარტოფილს თლიდა და კიდევ ორ, ქერათმიან სტუდენტ ქალიშვილს, ქალაქიდან პრაქტიკაზე ჩამოსულთ.

ორივენი — მზით დამწვრები, მოკლედ თმა შეკრეჭილნი- — დიასახლისის ფართო საწოლზე მოკალათებულიყვნენ. ერთი წამოწოლილიყო და ძველ „ოგონიოკს" ფურცლავდა, მეორე იქვე იჯდა. შიშველი ფეხები საწოლიდან ძირს გადმოეწყო და სვიტერს ქსოვდა. ნართის წითელი გორგალი იატაკზე, თუჯის ქვაბში ბზრიალებდა, ხტოდა, კედლებს აწყდებოდა, მაგრამ ვერაფრით ვერ ამომხტარიყო.

მწოლიარე ქალიშვილმა ჟურნალი გადაფურცლა და უკანასკნელ გვერდზე გადაშალა.

— ყური მიგდე: „ცნობილი პოლონელი კომპოზიტორი". გვარი ექვსი ასოსგან შედგება... — ჩაფიქრდა. ამოიცნო და გაუხარდა. — აჰა, შოპენი! — და კროსვორდში ასოები ჩაწერა.—შემდეგი! „მდინარე აღმოსავლეთ გერმანიაში". აქ ოთხი ასოა: შენ ხომ არ იცი?

— სამი — წალმა, ორი — უკულმა, — წაიჩურჩულა მქსოველმა ქალიშვილმა თავისთვის და უცბად თქვა: — ელბა თუა?!

— არა, „შ"-ზე იწყება. შ-შ-შ-შ-შ... აჰ, არ ვიცი. კარგი განვაგრძოთ. „ზეთოვანი მცენარე", ექვსი ასოა.

— თუ ზეთოვანია, ან სელი იქნება ან კანაფი, — თქვა დიასახლისმა, თან კარტოფილის ნათალი ვედროში ჩაუძახა.

— კა-ნა-ფი, ზუსტად აგრეა. რა კარგია! — გაუხარდა ქალიშვილს.

...დედაკაცმა როგორც იყო გადაწყვიტა: მეზობლის ეზოზე ბილიკი გადაიარა და აივნის კიბეს ამოჰყვა.

— ვერკა მოდის, — თქვა დიასახლისმა, როცა ფანჯრიდან ჭრელ მანდილს მოჰკრა თვალი, და დაუმატა: — თქვენ მაგას მაინცდამაინც ყურს ნუ უგდებთ. არა, ისე, მუშაობს კიდეც და ძალიან თვინიერი ადამიანია, ოღონდ, რაც ქმარი ომში მოუკლეს, მას მერე...

კარმა გაუბედავად გაიჭრიალა და იგი ოთახში შემოვიდა— ხმელ-ხმელი, ჭაღარა, ჩია. კართან შედგა, ხელები წინანდებურად წინსაფარქვეშ ჰქონდა, სტუდენტ გოგონებს თავი დაუკრა. ისინიც მიესალმნენ და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ.

— სამეცადინო გქონიათ, — წყნარად და სერიოზულად წარმოთქვა მან, — მე კი ხელს შეგიშლით... აბა, მაშინ ხვალ მოვალ.

— აჰ, რას ბრძანებთ, არა! — გაუღიმა მქსოველმა გოგონამ.

— სრულიადაც არა, — ჟურნალი განზე გადადო მეორემაც და იდაყვებზე წამოიწია.

— დაჯექი, დაჯექი, ვერკა! — ცოტა უხეშად, მაგრამ გულთბილად უთხრა დიასახლისმა. — ახლა მალე ვივახშმებთ კიდეც. ეს ჩემი გოგოები კი, ხომ ხედავ, ისვენებენ. დღეს მინდვრად იყვნენ და დაიღალნენ, მიუჩვევლები არიან. დაჯექი, დაჯექი.

ჟღრიალა მუსიკა ავსებდა ქოხს.

კვლავ ხტოდა თუჯის ქვაბში ნართის წითელი გორგალი.

დედაკაცი ტაბურეტის ნაპირზე ჩამოჯდა, მაგიდასთან. ჩამუქებული ჩაცვივნული თვალებით დაუწყო ცქერა სტუდენტ გოგონებს.

— საქმე მაქვს თქვენთან, — თქვა სერიოზულად და წინსაფარქვემოდან ხელები გამოიღო, — წერილი მაქვს დასაწერი.

ხელში ფერადნახატიანი, ტკეცინა კონვერტი ეჭირა.

— კაი, თუ ქალი ხარ, მოასვენე, ვერკა, ეს ხალხი, — უცბად უკმაყოფილოდ ალაპარაკდა დიასახლისი, თან ქვაბში წყალს ასხამდა. — ამას წინათ არ გაგზავნე?!

სტუმარი განაწყენდა. თხელი ტუჩები მკაცრად მოკუმა.

— კიდევ მინდა გავგზავნო. რაო, შენ რა გეხარჯება?!

— მე კი არაფერი მეხარჯება, — კვლავ უკმაყოფილოდ წამოიწყო დიასახლისმა, — მაგრამ, ეს გოგოები დაიღალნენ. ტყუილუბრალოდ ამდენი წერა რა საჭიროა!

დედაკაცმა შეიცადა, თითქოს მელოდიას ყური მიუგდოო. ნართის გორგალიც ქვაბში გაირინდა და აღარ ხტოდა. მერე ქალი წასასვლელად წამოდგა.

— როგორ გეკადრებათ! — საწოლიდან წამოხტნენ გოგონები, — რა თქმა უნდა, დაგიწერთ. — და დიასახლისს მიუბრუნდნენ: —აგრე რატომ უთხარით? რა დიდი ამბავია წერილის დაწერა!

დიასახლისმა ხელი ჩაიქნია და წინკარში გავიდა.

ისინი მაგიდის კიდესთან მოეწყვნენ. გოგონამ, რომელიც წეღან კროსვორდით იყო გართული, რადიომიმღები გამორთო და ხელში ფანქარი აიღო. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მაშინ დედაკაცმა მზით გაშავებული ხელი ყბაზე შემოიდო და კარნახს შეუდგა:

— გამარჯობა, ჩემო საყვარელო ვასია. ამ წერილს გწერს შენი ცოლი, ვერა. — იგი ჩააშტერდა თეთრ ქაღალდზე გამოჩენილ პირველ სტრიქონებს. — ახლა, ვინ იცის, ოჯახი არეულიაო, ასე ფიქრობ. შენ არხეინად მეყოლე. ჩვენმა გოგონამ მღებავის მოწმობა მიიღო. რაიონში გასწია სამუშაოდ. — ჭმუნვის ყინული თითქოს გალხვა მის თვალებში და ნელნელ ღიმილის შუქი შეეპარა. გაგვიფრინდა მტრედი შინიდან. იქნება, აღარც დაგვიბრუნდეს. მაგრამ იმისთანა გვყავს, ისე დამშვენდა, რომ!.. თავმჯდომარე სწუხდა, რატომ წავიდა ჩვენგან, რად მიგვატოვაო...

ქალიშვილი წერდა. ქერა კულულები შუბლზე ჩამოშლოდა. დიასახლისი ღუმელთან იდგა, სინანულით თავს იქნევდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჩვენმა სანკამ კი ჯარიდან მომწერა. — სტრიქონი სტრიქონს ემატებოდა ქაღალდზე. — არხეინად მეყოლე, ჯარს მალე მოიხდის და შინ შემეშველება, თორემ ბეღელი გადასახური მაქვს...

სარკმლიდან შორს, სადღაც შორს იმზირებოდა იგი, მშვიდი, არაფრისმხედველი თვალებით.

— ახლა მთლად მარტო ვარ, ვიცდი და ვიცდი, ვარ ასე. კაი იყო გოჭი მეშოვა და გამესუქებინა. შენს პენსიას ველოდები. ამას გარდა, კანტორაშიც მომცემენ — გამოვიმუშავე. წლეულს ბევრი თივა მოვფოცხეთ და დავზვინეთ.

წამით გაჩუმდა და, თითქოს გონს მოვიდაო, ქაღალდს მკაცრად დააცქერდა:

— მოგიკითხეს: ჩვენმა საწყობის გამგემ, ფედორმა, კუზმას ოჯახმა, ნასტია ბიცოლამ. მეზობლებმა მოგიკითხეს — ლეზინებმა, ბუღალტერმა ნადიამ, ამაზე ვამთავრებ. სალამს გითვლის შენი ცოლი ვერა.

ჯიბიდან ფრთხილად ამოიღო და ქალიშვილს წინ დაუდო ქამთასვლით გაყვითლებული, გაპოხილ-გაზეთილი, სამკუთხა სალდათური ბარათი.

— აგერ, მისამართი.

გაქექილ კონვერტზე ქალიშვილმა ძლივსძლივობით ამოიკითხა ჯარისკაცის მისამართი:

— „გერმანია. ბაუტზენ-შპრეეზე. საველე ფოსტა... ვასილ გოროხოვს“.

— კი, ზუსტად აგრეა. შპრეეზე. მდინარეა ასეთი. თვითონ იწერებოდა. — განმარტა დედაკაცმა.

ქალიშვილმა ნელ-ნელა, მძიმედ აიღო თავი და სტუმარს თვალი თვალში გაუყარა.

— იქნებ შენ მითხრა, შორს არის ეგ ადგილი?

ქალიშვილმა თავი ჩაჰკიდა: — შორს!

უკვე მთლად შებინდდა, როცა დედაკაცი აივნიდან კიბეს ჩაჰყვა და ჭიშკარს მიაშურა.

მიაბიჯებდა იგი ეზოში და წყნარსა და კმაყოფილს, წერილი წინსაფარქვეშ, ხელში ეჭირა.

ისხდნენ გოგონები და სდუმდნენ. ისეთი სიჩუმე იდგა, რომ გარკვევით ისმოდა, როგორ თუხთუხებდა ღუმელზე წყალი და როგორ ეხეთქებოდა ოთახში შემოხეტებული კრაზანა ფანჯრის მინას.

— ორმოცდახუთში დაეღუპა, ყოველთვე კი მაინც წერილსა სწერს, — ამოიოხრა დიასახლისმა და მაგიდაზე ორთქლადენილი, მოხარშული კარტოფილი შემოდგა. — ფოსტაში უკვე მთელი სკივრი მოუგროვდათ მაგისი წერილები... გული მოგიკვდებათ, რომ წაგაკითხათ. — და დაუმატა: — ჩემი კაცი ხომ მაგისაზე ადრე დამეღუპა...

რაღაცისთვის გარეთ გავიდა. ოთახში ისევ გაისმა კრაზანას ზუილი.

ქალიშვილი, რომელმაც დედაკაცს წერილი დაუწერა, საწოლზე მიბრუნდა და ჟურნალში რაღაც ჩაინიშნა, მეორე კი ფანჯარასთან მივიდა და საკეტი გააღო.

გარეთ, საღამოს ბინდში, ხმაური ისმოდა. გზისპირას მტვრიან ბალახში ბავშვები ყიჟინით ბურთს დასდევდნენ. სადღაც ბაღლი ტიროდა. შარაგზას კი ფოსტისკენ მიჰყვებოდა ჩია, წელში მოხრილი დედაკაცი.

თარგმნა **ელენე ჭავჭავაძემ**

## საინტერესო თემაზე

# მე შენ მიყვარხარ...

ცნობილი არაა, პირველად ვინ მიმართა ამ მარადიული სიტყვებით გულის სატრფოს. შესაძლება მითოლოგიურმა ადამმა...

ძნელია თქმა: — „მე შენ მიყვარხარ!“ ამიტომ სხვადასხვა ხალხი დღემდე თავთავისი ტრადიციული ხერხით უტყდება მიჯნურს ამ გრძნობაში.

დავიწყოთ, თუნდაც შორეული ავსტრალიით. შეყვარებული ავსტრალიელი თავზე „ჩილარას“ (ევკალიპტის ქერქით გაპრიალებული ტყავის სარტყელი) იკეთებს, ქამარზე კი ნიჟარების ასხმულას — „ლონკა-ლონკას“ — ჩამოიკიდებს ხოლმე. ამგვარად გამოწყობილი ავსტრალიელი ცდილობს, რაც შეიძლება ხშირად შეეფეთოს თავის რჩეულს. დუმს, მაგრამ ნაზი მზერით, „ჩილარითა“ და „ლონკა-ლონკათი“ თავის გულის ხვაშიადს უმხელს.

ახალი გვინეის მცხოვრებიც მეტად თავისებურად „უხსნის სიყვარულს“, იგი მივარდება ხოლმე ქალიშვილს და ლოყაზე ტრადიციული ორნამენტით მოჩუქურთმებულ ხის ქერქს უსვამს. ამით ოფიციალურად თხოვს: ცოლად გამომყევიო.

მაორის ტომის (ახალი ზელანდია) ჭაბუკი რამდენჯერმე განასკულ თოკს თავაზობს ქალიშვილს. თუ ქალი სხვა ვაჟსაც უყვარს, მაშინ მეტოქენი აქეთ-იქიდან კიდებენ ხელს სატრფოს და მთელი ძალით ექაჩებიან. გამარჯვებული ის გამოვა, ვინც თავისკენ გადაითრევს საოცნებო არსებას.

საათობით სატრფოს ფანჯრის წინ დგომა ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეშია მიღებული. ოღონდ, სამხრეთამერიკელი ინდიელი უფრო ტემპერამენტიანად იქცევა: იგი საყვარელი ქალიშვილის ქოხის წინ ცეკვავს და თანაც ბარაბანს უბაგუნებს.

აფრიკის ერთერთი ტომის ქალიშვილი იმდენ სამაჯურსა და ყელსაბამს ატარებს, რამდენი თაყვანისმცემელიცა ჰყავს, — ოღონდ, ეს კია, რომ ჯერ არავის დათანხმებია. მიდის ეს ქალიშვილი მდინარეზე, კოკას წყლით ავსებს და თავზე იდგამს. გამიჯნურებული ჭაბუკი უკანიდან უახლოვდება და ზედ ქალიშვილის ყურთან ისვრის ისარს, გზის მიმართულებით. თუ ქალს ვაჟი მოსწონს, იგი ფეხის თითებით იღებს ისარს, შეისვრის ზევით და მეორე თავისუფალი ხელით იჭერს.

კონგოელი ვაჟი თავის რჩეულს შემწვარ ფრინველს თავაზობს და თან დაატანს: „ეს ფრინველი ჩემი ხელითაა მოკლულიო“. ქალიშვილი კი თავთავს აძლევს: „მე დავთესე, მოვიყვანე და მოვმკიო“.

თავაზიანი ბედუინი კი ამგვარი პოეტური ფორმულით უხსნის სიყვარულს: „ო, გალმა! ჩემი ძმა რომ აქლემი ყოფილიყო, მე მას გავყიდდი, რათა შენ მეყიდე, გალმა!“

მადაგასკარის მცხოვრები ქოქოსის კაკალს უძღვნის სატრფოს, რომლიდანაც ეს ესაა თვითონ მოსვა რძე.

ცეილონზე საკმაოდ სენტიმენტალურად უხსნიან ქალს სიყვარულს: ვაჟი ქალიშვილს თავისი თმის კულულს აჩუქებს ხოლმე.

ინტერესს არ არის მოკლებული ევროპიული ტრადიციებიც.

ფრანგები საერთოდ გალანტურ კავალრებად ითვლებიან და ენაც კარგად უჭრით. მაგრამ ძველი ჩვეულების თანახმად, ისინი სატრფოს პირველად თეთრ ვარდს უძღვნიან, მერე ვარდისფერს და ბოლოს ალისფერს.

ინგლისში სიყვარულის ახსნის დღედ წმინდა ვალენტის დღე ითვლება. შეყვარებულები ამ დღეს ერთმანეთს წერილებს — „ვალენტიკებს“ უგზავნიან.

ასეთი ჩვეულებანი ხალხს უთვალავი აქვს. გაივლის საუკუნეები, ბევრი მათგანი შეიცვლება, ანდა სრულიად გაქრება. მაგრამ სამუდამოდ დარჩება სიყვარული და უბრალო, მარადიული სიტყვები: „მე შენ მიყვარხარ“...

(„ნედელია“-დან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვა თქვენ გეკუთვნით

## შეხვედრა

ისინი ახლა ჩვენს რედაქციაში არიან. წინ სქელი საქაღალდეები უწყვიათ. ამ საქაღალდეებში ათასზე მეტი წერილია — ჩვენი მკითხველების მიერ, თქვენს მიერ, თქვენი მეგობრების მიერ გამოგზავნილი.

უკანასკნელი წერილი წაკითხულია, საუბარი დასასრულს უახლოვდება. ეს მართლაც სასიამოვნო საუბარი იყო და ჩვენი სტუმრები, თქვენთვის ასე ნაცნობი „უცნობი ქალი" და მისი მეუღლე მალე დატოვებენ რედაქციის შენობას.

დამშვიდობებისას ისინი გთხოვენ მადლობა გადავცეთ დისკუსიის ყველა მონაწილეს, მათთვის სრულიად უცხო ადამიანებს, რომლებიც ასე გულმხურვალედ დაინტერესდნენ უცნობი ოჯახის ბედით.

— როცა ჟურნალში ჩემი მეუღლის წერილი დაიბეჭდა, ჩვენ უკვე ცალცალკე ვცხოვრობდით, — ამბობს მამაკაცი. — წერილის წაკითხვისთანავე მივხვდი, ვინ იდგა „უცნობი ქალის" სახელის იქით. ამის შემდეგ მოუთმენლად ველოდი „საქართველოს ქალის" ყოველ ახალ ნომერს. იმ თვეების მანძილზე მე ბევრი საგულისხმო რჩევა მივიღე და დავრწმუნდი, რომ ბევრში არ ვიყავი მართალი...

— ალბათ, ზოგ რამეში ბრალი მეც მიმიძღვოდა, — ამბობს ჩაფიქრებული ქალი.

ასე დამთავრდა ჩვენი შეხვედრა. მთავრდება ის დიდი საუბარიც, რომელიც ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე მიდის აგერ ერთ წელზე მეტი ხანია. იქნებ, ეს საუბარი ზედმეტი იყო? იქნებ ამ მეუღლეთა შორის უთანხმოების მიზეზი მართლა „წვრილმანი" იყო, როგორც ჩვენი თიანეთელი მკითხველი ფ. მოსახლიშვილი გვწერდა? იქნებ, ეს ყველაფერი არც ღირდა სადაოდ, საკამათოდ?

## „წვრილმანი" და „მსხვილმანი"

არა, ღირდა! საზოგადოების ფართო სამსჯავროზე ჩვენ მხოლოდ ამ ოჯახის ამბავი არ გამოგვიტანია. უამრავი წერილები, რომლებიც ახლა რედაქციას მოსდის რესპუბლიკის ყველა კუთხიდან, გვარწმუნებენ: ოჯახურ ცხოვრებაში არ არსებობს „წვრილმანი" და „მსხვილმანი". არ შეიძლება წვრილმანი იყოს ის, რასაც ნგრევის პირას მიჰყავს ოჯახი. ამ „წვრილმანის" იქით ხშირად იმალება დრომოჭმული შეხედულებები, ეგოიზმი, ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რაც ხელს უშლის ჩვენში ახალი, კომუნისტური ოჯახის ჩამოყალიბებას.

ერთი ოჯახის ისტორიამ ჩვენს თვალწინ სხვა ისტორიებიც გადაშალა და უცნობი ქალის მეგობრის თქმის არ იყოს, ზოგიერთი ისეთი „უარესი ამბავი" დაგვანახვა, რომ ახლა, კონკრეტულად რომელიმე ოჯახზე ლაპარაკი ცოდვადაც კი შეიძლება ჩაგვეთვალოს. ჩვენ იმ ზოგადზე, ჩვენი საზოგადოებისთვის უცხო და მიუღებელზე უნდა ვისაუბროთ, რომელიც უზარმაზარ შემფერხებელ ძალას წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების განვითარებისა და კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, რადგან არ შეიძლება ავაშენოთ კომუნისტური საზოგადოება მისი ყველა ძირითადი უჯრედის — კომუნისტური ოჯახის გარეშე. არ შეიძლება საფრთხის წინაშე დავაყენოთ ჩვენი მომავალი თაობა, ისინი, ვინც ყოველდღიურად, ყოველ წუთში თავის თავზე განიცდიან მშობელთა მახინჯი ურთიერთობის გავლენას.

## წერილები, წერილები...

..."14 წელია ერთად ვცხოვრობთ. ამ ხნის განმავლობაში ჩემი თვალებიდან გადმონადენი ცრემლით შეიძლებოდა პატარა ტბა დაგუბებულიყო. მყავს ორი მშვენიერი ბავშვი. უფროსი ხუთოსანი მოსწავლეა. ხშირად უთქვამს მამისათვის: „მე მრცხვენია, მამა, შენ რომ ასეთი უხეში ხარო". ქმარი მღალატობს, ლოთობს. სიმთვრალეში ამტვრევს, რაც ხელში მოხვდება, მცემს. სახლში ღამეს ხან ათევს, ხან არა. თუ ვკითხე: სად იყავი მეთქი, — მპასუხობს: რა შენი საქმეა, სად დავდივარ და რას ვაკეთებო. ამ აუტანელი ცხოვრებისგან დავილალე, ნერვები დამიავადმყოფდა. განქორწინება ვთხოვე. მერე, რა მივიღე პასუხად — გალესილი დანის ტრიალი და ბავშვების დაშინება. მერე, იცით ვინ არის ჩემი მეუღლე? პარტიის წევრი. ავუხსენი პარტკომის მდივანს ჩემი მდგომარეობა, იქნებ გავლენა იქონიოს მეთქი, მაგრამ იქ მისვლისთვის მაგრად მცემა. არ ვიცი, რა ვიღონო. დაშინებული ვარ. ბავშვები მეცოდება, ასეთ პირობებში რომ იზრდებიან. ჩემს ვინაობას სირცხვილით არ ვაცხადებ, ვინაიდან ჩვენს პატარა ქალაქში უმრავლესობა ჩვენი ნაცნობებია"...

სამწუხაროდ, ამგვარი წერილები არც ისე იშვიათად მოდის რედაქციაში. თუ ბათუმელი ქალი ქმარს დაუტანჯავს, ხაშურელი, სამხედრო სამსახურში წასული კაცი ცოლს გაუმწარებია: უსაქმურობს, დედამთილს ჩაგრავს, კუთხე-მეზობლობას ჩხუბით იკლებს. მიატოვებს ოჯახს და თვეობით დედასთან გარბის...

ასეთ გადაგვარებულ ადამიანთა შესახებ არ შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა. მათთვის განაჩენის გამოტანა იმ კოლექტივს, იმ საზოგადოებას ეკისრება, სადაც ეს ადამიანები მუშაობენ და ცხოვრობენ.

ამიტომ ჩვენ დღეს მათზე არ ვისაუბრებთ. ჩვენ ისევ იმ „წვრილმანებს" დავუბრუნდებით, რომლებიც, სინამდვილეში, მეუღლეთა ურთიერთდამოკიდებულების არსს გამოხატავენ და, როგორც წესი, განაპირობებენ ოჯახის კეთილდღეობას.

## ჩვენზე ზრუნავენ, გვპირდებიან

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ პირველად კაცობრიობის ისტორიაში მიანიჭა ქალს სრული პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლება და გაუთანაბრა მამაკაცს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„საბჭოთა რესპუბლიკაში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ქვა ქვაზე არ დარჩენილა იმ კანონებიდან, რომლებიც ქალს დამორჩილებულ მდგომარეობაში აყენებდნენ!"

მაგრამ კანონით თანასწორობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა თანასწორობას ყოფაცხოვრებაში. და ვინაიდან ადამიანის ფორმირება, მისი პიროვნების განვითარება მხოლოდ საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის გზით ხდება, დიდ ბელადს საბჭოთა ხელისუფლების გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა: უნდა „ჩავაბათ ქალი საზოგადოებრივ — მწარმოებლურ შრომაში, ხელიდან გამოვგლიჯოთ იგი „შინაურ მონობას", გავანთავისუფლოთ დამაჩლუნგებელი და დამამცირებელი მორჩილებისაგან, სამზარეულოს და საბავშვო ოთახის მუდმივი და განსაკუთრებული გარემოსაგან — აი, მთავარი ამოცანა".

ლენინი ოცნებობდა იმ დროზე, როცა შეიქმნებოდა საბავშვო დაწესებულებათა ისეთი ფართო ქსელი, საზოგადოებრივი კვებისა და კომუნალური მეურნეობის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შესაძლებელს გახდიდა დაეზოგა ქალს გამომათაყვანებელი და ერთფეროვანი შრომისთვის განკუთვნილი დრო თავისი სულიერი სამყაროს გამდიდრებისა და იდეურ-პოლიტიკური ზრდისათვის.

და თუმცა იმ წლებში ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა ეკონომიურად სუსტი და ჩამორჩენილი იყო და ათასი გადაუდებელი ამოცანა იდგა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, ჩვენი ბელადი და კომუნისტური პარტია მაინც პოულობდნენ საჭირო სახსრებს ბაგა-ბაღების, აბანოების, სასადილოების და სხვა ამგვარ დაწესებულებათა მოსაწყობად.

გადიოდა წლები და სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაში, სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში ებმებოდა საბჭოთა ქალების ახალ-ახალი მილიონები. ქალები ფართოდ გამოდიოდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების ფრონტებზე. მათ აქტიური მონაწილეობის მიღება დაიწყეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

მაგრამ რა თანამდებობაზეც არ უნდა იყოს ქალი, ის მაინც დედაა და ოჯახის დიასახლისი.

საწარმო-დაწესებულებაში მუშაობის შემდეგ მას საოჯახო შრომა ელოდება: ბავშვების მოვლა, სამზარეულო, სარეცხი, უთო, დალაგება. ეს შრომა არანაკლებ დამღლელია და ამავე დროს გამომფიტავიც. რით შეიძლება მისი შემსუბუქება?

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც განუხრელად ხელმძღვანელობს ლენინური პრინციპებით, თავის პროგრამაში ხაზგასმით აღნიშნა: „მთლიანად უნდა აღმოიფხვრას ყოფაცხოვრებაში ქალის არათანასწორი მდგომარეობის ნაშთები, შეიქმნას ყველა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობა, რათა ბედნიერი დედობა შეხამებული იყოს ქალების სულ უფრო აქტიურ და შემოქმედებით მონაწილეობასთან საზოგადოებრივ შრომასა და საზოგადო მოღვაწეობაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში".

პარტიამ ჩვენს წინაშე ამ მხრივაც გრანდიოზული პერსპექტივები გადაშალა.

ახლა საბჭოთა მეცნიერების მრავალათასიანი არმია ჰქმნის ახალ-ახალ მანქანებს ჩვენი საოჯახო შრომის შესამსუბუქებლად.

შვიდწლედის ბოლოსთვის ჩვენი მრეწველობა გამოუშვებს 88 მილიარდი მანეთის (ძველი ფულით) ღირებულების საოჯახო მანქანებს.

აშენდება მრავალზე მრავალი სკოლა-ინტერნატი, ბაგა-ბაღი, საზოგადოებრივი სასადილო, სამრეცხაო, საყოფაცხოვრებო კომბინატი... დიახ, ჩვენი შრომა შემსუბუქდება. ჩვენ შეგვეძლება საღამოს თავისუფალი საათები ჟურნალ-გაზეთებს, კინო-თეატრებს, მეგობრებთან საუბარს დავუთმოთ.

ჩვენ ახლაც გვეხმარებიან, მომავალში დაგვეხმარებიან კიდევ მეტად.

მაგრამ რით გვეხმარება ყველაზე ახლობელი ადამიანი, ის ვისაც სამუდამოდ დავუკავშირეთ ჩვენი ბედი, ვისთანაც გვაკავშირებს ერთი ჭერი, ერთი ცხოვრება, ერთი მიზნები?

## „საქალო" საქმე

როგორც მოსალოდნელი იყო, დისკუსიის მონაწილეთა დიდ უმრავლესობას უცნობი ქალის წერილში სწორედ ამ საკითხზე გაუმახვილებია ყურადღება.

„ჩვენც გვაქვს ოჯახი, — გვწერს ნ. კბილცეცხლაშვილი გალიდან, — გვყავს ორი ბავშვი. უფროსი მეორე კლასის მოსწავლეა, უმცროსი საბავშვო ბაღში დადის. ჩვენ ორივენი ვმსახურობთ, სახლში არავინ რჩება, რომ საოჯახო საქმე მოგვიგვაროს; ამიტომ ჩვენ შეხმატკბილებულად ვაკეთებთ ყველა საოჯახო საქმეს. ჩემს მეუღლეს სულ არ ეუხერხულება წყლის მოტანა, საჭმლის მომზადების დროს მოხმარება. მე თუ ერთს ვაკეთებ, ის მეორეს აკეთებს, ერთმანეთის თქმისა და მითითების გარეშე ჩვენ უკვე ვიცით, რაა გასაკეთებელი და ვაკეთებთ უხმოდ, შენიშვნების გარეშე. შემდეგ კი ვკითხულობთ და ვუზიარებთ ერთმანეთს აზრებს.

ჩვენი მიბაძვით ბავშვებიც შეეჩვივნენ შრომას. თავისუფალ დროს თვითონვე ისუფთავებენ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს, ალაგებენ მაგიდას. უმოქმედოდ არავინ არა ვართ, შრომა ბუნებრივ მოთხოვნილებად გვექცა"...

დისკუსიამ რედაქციას ერთი კარგი სამსახურიც გაუწია — ამ წერილებით ჩვენ ბევრი ოჯახის კარი შევაღეთ.

„...მე და ჩემი მეუღლე წარმოებაში ერთად ვმუშაობთ. გვყავს ორი შვილი. ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია უერთმანეთოდ ცხოვრება, რადგან ერთმანეთს მხარში ვუდგევართ არა მარტო წარმოებაში, არამედ ოჯახშიც." — გვწერს ინჟინერი ნანა დოლიძე ქუთაისიდან.

თავის ოჯახურ ბედნიერებაზე გვიამბობენ: მარო სიდიანი — მასწავლებელი ჩხალთიდან, მანანა მაჭავარიანი — თბილისელი დიასახლისი, ქ. ზანთარაია — მასწავლებელი კელასურიდან, ი. ჯღამაია — სოფ. ხუნწის კოლმეურნეობის მოანგარიშე, ნელი კვიციანი — საფერშლო პუნქტის გამგე მესტიის რაიონიდან...

ეს წერილები და კიდევ ძალიან ბევრი წერილი, რომელთა ჩამოთვლაც კი ძნელია, მოგვითხრობენ იმის შესახებ, თუ რამდენი სიხარული მოაქვს ოჯახურ ცხოვრებას, როცა ცოლ-ქმარს შორის ურთიერთგაგება, პატივისცემა და მეგობრობაა.

## „სტუმარ-მასპინძელი"

მაგრამ წერილებს ზოგჯერ მწუხარებაც მოაქვთ, რადგან ამ შესანიშნავი ოჯახების გვერდით კიდევ არსებობს თითო-ოროლა ისეთიც, სადაც ბედნიერებას ახლოც არ გაუვლია. ამ წერილებს სახელს და გვარს იშვიათად აწერენ ხოლმე. კითხულობ და გული ტკივილით და წყენით გევსება: გებრალება მისი დამწერი და გწყინს, როცა ხედავ, რომ ოჯახი, რომელიც თავისი არსებობის ათეულ წლებს ითვლის, ცარიელი ფიტულია — სხვა არაფერი.

ამ წერილს ხელს აწერს ვინმე ნ. რ.

„...ჩემი მეუღლე ძალიან განათლებული და კულტურული მამაკაცია (ვნახოთ, რას აკეთებს ოჯახში ეს განათლებული და კულტურული მამაკაცი — რ ე დ.). ძალიან უყვარს დროსტარება, მეგობრები. ვერ ვიტყვი—ბავშვები არ უყვარსთქო, მაგრამ ყველაფერზე მაღლა მაინც დროსტარებას და მეგობრებს აყენებს. თუ სახლშია, ძინავს, ჩვენთან სალაპარაკოდ არასოდეს სცალია. კინო-თეატრებში უჩემოდ დადის. თუ კი სადმე დაგვპატიჟებენ, არასოდეს მეტყვის — ჩაიცვი, ერთად წავიდეთო! არ იფიქროთ, ცუდი ოჯახი გვაქვს! ნათესავები და მეგობრები „ბედნიერ კაცს" ეძახიან. მე, როგორც ოჯახის ერთგული, ყველაფერს ვაკეთებ, როგორც წესი და რიგია, მიუხედავად იმისა, რომ მეც ვმუშაობ. არასოდეს ვეჯიჯგლინები ზოგიერთი ქალივით და ყველაფერს ვითომ „კმაყოფილი" ვხვდები. როცა მას გავისტუმრებ, მერე კი მწარედ ჩავფიქრდები. ასე ვატარებ მეცამეტე წელს. გისურვებ შენ, ჩემო უცნობო მეგობარო, ისევე მოგეთმინოს შვილებისათვის ყველაფერი, როგორც მე. მართალია, ეს ყველაფერი ჩვენს ჯანმრთელობაზე მოქმედებს — სხვა თუ არაფერი, ჩვენც ხომ ადამიანები ვართ! მაგრამ რას ვიზამთ, ყველა მამაკაცს ხომ არა აქვს ამის გაგების უნარი!..."

რა ვუპასუხოთ, რა ვურჩიოთ ამ წერილის ავტორს? მათ ოჯახში, როგორც ჩანს, კარგა ხანია ფუნქციები განაწილებულია: მუშაობს ორივე, სამსახურის შემდეგ ქმარი კინო-თეატრებში და წვეულებაში დადის, ცოლი სამზარეულოს ვერ სცილდება.

ამ ქალის ქმარი, როგორც ჩანს, არაა მოღალატე, არც ლოთი, ალბათ, არ იგინება და ცოლზე საცემრად არ მიიწევს.

ხომ არ დაგვემშვიდებია ისე, როგორც რედაქციაში შემოსული ზოგიერთი წერილის ავტორი ამშვიდებს უცნობ ქალს?

„რადგან მამაკაცებში ყოფილა ასეთი მშვენიერი არსება, — გვწერდა მაშინ კოლმეურნე ქალი დ. ურუშაძე, — ბარემ მან თავის ამ შესანიშნავ თვისებებს ესეც დაამატოს — იყოს ცოლის მიმართ ალერსიანი"...

ქუთაისის ავტოქარხნის გაზეთის — „ლენინელის" ერთერთი ავტორი დიმიტრი ლოლაძე პირდაპირ აღტაცებაში მოუყვანია უცნობი ქალის მეუღლეს (გვაპატიოს უცნობი ქალის მეუღლემ — მათ ოჯახში ახლა ყველაფერი რიგზეა. ამ ოჯახის ამბავს ჩვენ ახლა მხოლოდ პირობითად განვიხილავთ):

„...არც ლოთია, არც მოღალატე, არც ეჭვიანი, უწმაწური სიტყვები, რა თქმა უნდა არ სჩვევია"... — გულახდილად რომ ვთქვათ, ეს ისეთი ძვირფასი თვისებებია, რომელსაც ბევრი მამაკაცი ინატრებდა უთუოდ!..

...ბევრი ძვირფასი თვისებები ჰქონია ამ მამაკაცს, მაგრამ მეუღლე მაინც არაა კმაყოფილი, მას სურს იგი ყველაფრად სრულყოფილი იყოს!.."

ეს ღია წერილი გაზეთ „ლენინელში" დაიბეჭდა (1962 წ. 21/XI) და ძალიანაც გაგვაოცა. დიმიტრი ლოლაძე თავს ესხმის უცნობ ქალს — ქმარი რომ სახლში მოუვიდა და ვახშამი მიართვა, ცოლი რატომ დაწვა ისევ და სუფრასთან არ დაუჯდაო. ეს „ქართული ზრდილობის უხეში დარღვევაა — მამაკაცის, თუგინდ ქალის მარტო მიტოვება მაგიდასთან. რომელი ქართველი ეტყვის სტუმარს: მე არ მშია, თქვენ დაჯექით და ჭამეთო... მე უთუოდ ქალს ვამტყუნებ — იგი უნდა დამჯდარიყო მაგიდასთან არა ჭამისთვის, არამედ ზრდილობისთვის"..

ერთი სიტყვით, ავტორი ცოლ-ქმრის, ე. ი. ყველაზე მახლობელი ადამიანების დამოკიდებულებას სტუმარ-მასპინძლის ურთიერთობას ადარებს. როგორც იტყვიან ხოლმე, კომენტარები ზედმეტია!

შემდეგში წერილის ავტორი აკრიტიკებს იმ მამაკაცებს, რომლებიც სამსახურიდან დაბრუნებულ ცოლს აჩქარებენ სადილის მომზადებას და თვითონ წამოწოლილი მისჩერებიან და იქვე აღნიშნავს „მაგრამ სულ სხვაა, თუ ცოლი არ მსახურობს და შინ ზის".

## როცა სიყვარული გრძელდება...

ამ საქაღალდეში დიასახლის ქალთა წერილებს ვინახავთ და ძალიან გვინდოდა ეს ბარათები ზემოაღნიშნული წერილის ავტორს ენახა.

„როცა ჩემი მეუღლე სამსახურიდან ბრუნდება, მე მას სახლში, გაწყობილ სუფრასთან ვხვდები, აგერ 25 წლის განმავლობაში. არასოდეს მიმსახურია, რადგან ბავშვების დამტოვებელი არავინ მყავდა — ოთხი შვილი გავზარდე. სამსახურიდან დაბრუნებულ ჩემს მეუღლეს კარებში ფეხიც არა აქვს შემოდგმული, რომ დამიძახებს: „აბა, მარო, რა გაგიკეთო! ძალიან დაიღალე, არა?“ თუ სუფრა მზად არ არის, ჩემთან ერთად სამზარეულოში მოდის და ცდილობს ხელი წამახმაროს...

ახლა მე უკვე დახმარება აღარ მჭირდება — ქალიშვილები მეხმარებიან. წინათ კი ძალიან მჭირდებოდა, როცა ბავშვები პატარები იყვნენ. ჩვენი სიყვარულიც იმ წლებში გამტკიცდა, როცა ჩემთან ერთად საღამოობით მეუღლეც ხელდაკაპიწებული ტრიალებდა. ბავშვები რომ ავადმყოფობდნენ, ღამეებს ჩემთან ერთად ისიც ათევდა. რომ შევეხვეწებოდი — დაწექი, ამაღამ მე გავუთევ, დილით სამსახურში ხარ წასასვლელი მეთქი, — მიპასუხებდა: შენი სამსახური ჩემსაზე ათჯერ უფრო მძიმეაო. განა მართალი არ იყო? ოჯახის საქმეს რა გამოლევს. არადა, რამდენი ძალა და ღონე სჭირდება!

ასე გაგვითეთრდა ორივეს თმა და რაც წლები გადის, ჩვენი სიყვარული კი არ იკლებს, იზრდება“...

ფრიდრიხ ენგელსს ეკუთვნის შესანიშნავი სიტყვები: „თუ ზნეობრივია ის ქორწინება, რომელიც სიყვარულზეა დაფუძნებული, მაშინ ასევე ზნეობრივი რჩება მხოლოდ ის ცოლ-ქმრობა, რომელშიც სიყვარული გრძელდება“...

როგორ გავიტანოთ ეს დიდი და ნათელი გრძნობა წლებისა და ათეული წლების მანძილზე?

როგორ შევინარჩუნოთ ის უსაზღვრო ბედნიერება, რომელსაც მხოლოდ საყვარელ ადამიანთან გვერდიგვერდ ყოფნა გვანიჭებს?

იქნებ, ისე მოვიქცეთ, როგორც ჩვენი ერთ-ერთი ავტორი ელენე თავშავაძე-აბესაძისა გვირჩევს (რა თქმა უნდა, კეთილი გულით): მოვითმინოთ დაუმსახურებელი საყვედურები, „ბოდიშიც კი მოვუხადოთ წყნარად“, საკუთად სიმართლეში რაგინდ დარწმუნებულიც არ უნდა ვიყოთ...

ან იქნებ „სიდედრ-დედამთილს“ დავუჯეროთ? ე. ი. უარი ვთქვათ მეუღლესთან გულახდილობაზე, პატიოსან დამოკიდებულებაზე.. რაგინდ ნაწყენიც არ უნდა ვიყოთ, ვითვალთმაქცოთ, არ შევიმჩნიოთ?

არა, ვერცერთ აზრს ჩვენ ვერ გავიზიარებთ. ამ აზრებს ჩვენ არც ადრე ვიზიარებდით, როცა ჟურნალში ზემოაღნიშნული წერილები (და, განსაკუთრებით, ფ. მოსახლიშვილის წერილი) დავბეჭდეთ. ჩვენ საზოგადოებრივი აზრი გვაინტერესებდა და ეს აზრი მივიღეთ: ამ წერილების დაბეჭდვის შემდეგ ჟურნალში საპროტესტო წერილების ნიაღვარი მოვარდა.

„ასეთი „სიდედრ-დედამთილების“ მიერ აღზრდილ ვაჟკაცებს ცოლი მხოლოდ იმისთვის უნდათ, რომ სადილი მოუმზადოს, თეთრეული გაურეცხოს, ყველაფერი დროულად და მზამზარეულად მიართვას, — ამბობს ე. პეტრიაშვილი თელავიდან. — მათ ვერ წარმოუდგენიათ ცოლთან მეგობრობა, მხარში ამოდგომა, დახმარება... მათ ეთაკილებათ საოჯახო საქმის გაკეთება, რადგან ყველა საქმე „ქალურ საქმედ“ მიაჩნიათ. ეთაკილებათ, რადგან მათ სწორედ ვაჟკაცობა აკლიათ, ეჭვი ეპარებათ თავის ვაჟკაცობაში. ნამდვილი ვაჟკაცი კი გულგრილად ვერ შეხედავს, როცა ქალი შრომით წელს იწყვეტავს, არ შეუშინდება ცოლის მოხმარებით ვაჟკაცობა არ ჩამომერთვასო. ის ყველგან ვაჟკაცია, ყველგან დიდბუნებოვანია, ყველგან სულგრძელია...“

„კარგი, დავავალოთ ქალებს მოითმინონ მამაკაცის დაუმსახურებელი საყვედურები, ვურჩიოთ — გულში ჩაიკლან ქმრის უსამართლობისგან გამოწვეული წყენა, დიდი ბოღმის დროს ჩუმად იტირონ ბალიშში თავჩარგულებმა და სამსახურიდან დაბრუნებულ მოღუშულ ქმარს თვალზე ცრემლი არ დაანახონ და სიცილ-კისკისით შეხვდნენ, დაეთანხმონ მის ყოველგვარ აზრს, მისი სამართლიანობის მიუხედავად.

მაგრამ როგორ უნდა შესძლონ ყოველივე ეს? და არა ერთი, ორი, ხუთი დღის განმავლობაში, არამედ მთელი სიცოცხლის მანძილზე?...

ან რა დავუდოთ ამ დავალებას საფუძვლად?“ — გვწერს ზაურ მჟავანაძე, გამომძიებელი ქუთაისიდან.

„სიდედრ-დედამთილი“ გულნატკენი აღნიშნავს, რომ „ცუდად აღზრდილი ქალები“ ოჯახში შრომას „მოჯამაგირეობას“, „მზარეულობას“ და „მოსამსახურეობას“ ეძახიანო.

— ეს არ არის ასე, — ამბობენ ჩვენი ჟურნალის მკითხველები თინა იობიძე და რუსუდან ქორიძე — „მხოლოდ ის ქალი ეტყვის ქმარს „მე შენი მოსამსახურე არა ვარ“ და „მოჯამაგირე თუ გინდოდა, გეშოვნაო“, — რომელიც ქმარში მეგობარსა და თანამგრძნობს ვერ ხედავს, რომლის შრომას ქმარი აბუჩად იგდებს, არ აფასებს. მხოლოდ ქმრისაგან დაფასებული, ამაღლებული ქალები ამაყობენ დიასახლისობით, ხოლო სამზარეულოს მიჯაჭვული ქალი, რომელიც მთელ დღეებს ქვაბებთან ატარებს და სხვა ცხოვრება მისთვის არ არსებობს, თავს ყოველთვის შინამოსამსახურედ იგრძნობს“.

## „გული არ გაგიტყდეთ“...

„მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც უნდა მოითმინოთ თქვენი ოჯახის მთლიანობისთვის, თქვენი შვილების ბედნიერებისათვის“. — არიგებს უცნობ ქალს მკითხველი ქ. კიკნაძე.

„უარესს ითმენენ“, — გულს უკეთებს უცნობ ქალს ფოთელი რ. აბშილავა.

„ნამდვილად წესიერი და შვილების მოყვარული დედა მოვალეა ყოველგვარი შეურაცხყოფა მოითმინოს შვილების მამისაგან“, — წერს პედაგოგი (!) მ. სურმავა გეჭკორიდან.

„გაკვირვებას იწვევს ზოგიერთი მკითხველის მოთხოვნა — შვილების გულისთვის არ გვაქვს უფლება ოჯახი დავარღვიოთო, — თითქოს ამის პასუხად გვწერს ა. ნებიერიძე ახალციხიდან. — ეს ხომ თვალთმაქცობაა — გულში ფარავდე ბოღმას, სიძულვილს, არ გიყვარდეს ან არ უყვარდე და მაინც მასთან იყო. რატომ? რისთვის? ამას ხომ ადრე თუ გვიან შვილებიც მიხვდებიან და ისინიც დაიწყებენ თვალთმაქცობას, თავის მოჩვენებას, გაიზრდებიან დამახინჯებულნი, ნერვიულები“...

„...როცა მამა ასეთი ცუდია, ბავშვებიც რომ ასეთივე უქნარები და უსინდისონი არ გაიზარდონ, ცოლი უნდა გაშორდეს ქმარს.

მე ძალიან ბევრი ქართველი ქალი ვიცი, რომლებსაც ომში ქმრები დაეღუპათ, დარჩათ ორი-სამი შვილი და თოხით ხელში გამოზარდეს ობლები, უმაღლესი განათლება მიაღებინეს და ახლა ბედნიერი დედები არიან, — გვწერს ჯონდო კავთელაძე, რუსთავის თაბაშირის ქარხნის მთავარი მექანიკოსი.

„ჩემო უცნობო მეგობარო, თქვენს მეუღლეს, ალბათ არ ყვარებიხართ“, — ასე იწყებს თავის წერილს მკითხველი ფ. კალანდაძე.

„... მას უყვარხართ, გული არ გაგიტყდეთ, — ამშვიდებს სხვა ავტორი, — უყვარხართ და ნუ სთხოვთ ეს სიყვარული ქალურ საქმეში ჩარევით დაგიმტკიცოთ. გაითვალისწინეთ ჩვენი ტრადიციები...“

## ბედნიერების შესაქმნელად

ტრადიციები, ტრადიციები! — რა ხშირად ვიშველიებთ ამ საბუთს ჩვენი შეხედულებების, ჩვენი მოქმედების სისწორის დასამტკიცებლად. მაგრამ რა ცუდად ვიცნობთ მათ!

არა, ასეთი ტრადიციები ჩვენ არ გვქონია. „ტრადიციების“ ამგვარი გაგება ხელსაყრელია მხოლოდ იმათთვის, ვინც ამ სიტყვის უკან საკუთარ სიზარმაცეს და ეგოიზმს მალავს.

ამის შესახებ მშვენივრად იყო ნათქვამი პედაგოგ ჯ. გრძელიშვილის და სხვათა წერილებში და ვფიქრობთ, გამეორება აღარაა საჭირო.

ეს „ვითომ ტრადიციები“ ჰქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როცა წერდა: ჩვენ ქალი მამაკაცთან თანასწორუფლებიანი გავხადეთ კანონით. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია, მთავარი კი — სრული განთავისუფლება ოჯახური მონობისაგან — უფრო ძნელია, მეტისმეტად ძნელი. რადგან აქ საქმე ეხება ყველაზე უფრო დამკვიდრებული, ჩვეული, დახავსებული წესების — სიმართლე რომ ითქვას, უმსგავსოების, ველურობისა და არა „წესების“ გარდაქმნას.

კლარა ცეტკინთან საუბარში ლენინი გულისტკენით აღნიშნავდა: „ძალიან მცირე ნაწილი მამაკაცებისა, თვით პროლეტარებიდანაც კი, ფიქრობენ იმაზე, თუ რამდენად შეუძლიათ მათ შეუმსუბუქონ ცოლს ტვირთი და ზრუნვა, ანდა სავსებით ჩამოაცილონ

## ჩვენი საოჯახო კლუბი

პედაგოგის შენიშვნა

# როცა ბავშვი თამაშობს

ხუთი წლის გოგონამ ოთახში „კუთხე“ მოაწყო და იქ ჭრელი კაბებით მორთული დედოფლები დასვა. მამა რომ მიუახლოვდა ამ კუთხეს, ბავშვმა ცივი ხმით შეჰკივლა: „ვერ ხედავ, მანდ კარია, გააღე და ისე შემოდი“. თუმცა კარი მხოლოდ გოგონას ფანტაზიაში იყო, მაგრამ აბა, დაურღვიეთ მას ეს ილუზია! ასეთი მოქცევით პატარა ბავშვის გულში ნაღველს ჩააწვეთებთ და, რაც მთავარია, რწმენას დაუკარგავთ.

ნუ ჩავთვლით ბავშვის ამგვარ თამაშს უბრალო თავშესაქცევად, ჩავთვალოთ იგი მეტად მიზნობრივ და სასარგებლო შრომად, ხელი შევუწყოთ მას.

სამი წლის თეიმურაზმა შესანიშნავად მორთულ ოთახში სათამაშოები გააბნია: ხის კუბიკები აქა-იქ გაფანტა, რომ მერე თავი მოუყაროს და „მანქანით!“ გადაზიდოს. ახლა — ის სადაცაა დიდ „მშენებლობას“ დაიწყებს. ამისთვის მას სჭირდება ზარი, ნიჩაბი, საშენი მასალა, თოჯინები, რომლებიც აგრეთვე ბლომად მოეპოვება. აი, შეუდგა მუშაობას და ჩამოაყენა თუ არა თავისი მატარებელი, დააყენა თუ არა მწყობრში მსუბუქი და სატვირთო მანქანები — დედის მრისხანე ხმამ შეაკრთო: „ეგ რა გიქნია, ოთახი აგირევია, —რას გავს აქაურობა! ახლავე აკრიფე და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინე!“ შეწუხდა თეიმურაზი. იტიროს? გრძნობს რომ არ გაუვა. შეიძლება კიდეც ცემონ. და ბავშვმა, რომელსაც ცოტა ხნის წინათ ასეთი ფანტაზია დაეუფლა, ნაღვლიანად გადახედა მშობელს, თამაშს თავი ანება და კუთხეში მიდგა.

ზოგიერთი მშობელი ცდილობს ბავშვი ტოლებს არ გააკაროს, რომ რაიმე ცუდი თვისება არ გადაიღოს მათგან და მარტო, უფროსების ამარა ზრდის. ზოგიერთ დედას ეს ქედმაღლობითაც მოსდის, ჰგონია, რომ თავისი

---

იგი, თუ კი მოისურვებენ „ქალის მუშაობაში“ ჩარევას. მაგრამ არა! ეს ხომ ეწინააღმდეგება ქმრის უფლებას და მის — „ღირსებას“! იგი მოითხოვს, რომ მას ჰქონდეს დასვენება და კომფორტი. ქალის ოჯახური ცხოვრება კი ეს მისი საკუთარი თავის ყოველდღიური მსხვერპლად შეწირვაა ათასი უმნიშვნელო წვრილმანისთვის“.

ეს საკითხები აწუხებდა ჩვენს ბელადს ორმოცზე მეტი წლის წინ, მაგრამ მაშინაც უხაროდა, რომ ადამიანთა შეგნებაში ხდება ცვლილებები, რომ „გარდაქმნა დაწყებულია!“

ოთხი ათეული წლის წინ დაწყებული გარდაქმნა ჯერ კიდევ არ დასრულებულა, დრო კია! სხვა რომ არაფერი, ამას გვიკარნახებს საღი გონება: განა იმ ოჯახში, სადაც ერთი მხარე თავს დაჩაგრულად და გულნატკენად გრძნობს, შეიძლება ლაღად და მხიარულად იგრძნოს თავი მეორემ?

საბედნიეროდ, ასეთ ოჯახთა რიცხვი ძალიან მცირეა, მაგრამ ჩვენს საზოგადოებაში ეს თითო-ოროლაც არ უნდა იყოს. იმიტომ, რომ ჩვენ ყველა პირობა გვაქვს ოჯახური ბედნიერების შესაქმნელად: ცხოვრების თანამგზავრის თავისუფალი არჩევანი, ცოლქმრის სასიცოცხლო მიზნებისა და იდეალების ერთიანობა, შვილების სიყვარული...

და თუ ოჯახურ ცხოვრებაში ბედნიერება ვერ ვიპოვეთ, ამაში უპირველესად ჩვენ თვითონ, ადამიანები ვართ დამნაშავე...

### „როგორ მოვიქცეთ?“

— გვეკითხებოდა მაშინ უცნობი ქალი. „როგორ მოვიქცეთ?“ — გვეკითხებიან სხვებიც.

ეს არაა ადვილი კითხვა. არც პასუხის გაცემა შეიძლება ასე იოლად. თავიდანვე უნდა შევთანხმდეთ, რომ ამ გარემოებისათვის არ არსებობს არავითარი წინასწარი რეცეპტი — სასწაულმოქმედი, ზუსტი. რადგან ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. „რადგან ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, ყველა უბედური უბედურია თავისებურად“.

ამ კითხვაზე პასუხი ნაწილობრივ ჟურნალის ფურცლებიდან ჩვენმა მკითხველებმა გასცეს — ზოგმა თავისი ოჯახური ცხოვრების კარგი მაგალითის ჩვენებით, ზოგმა — გულწრფელი რჩევა-დარიგებით.

როგორ მოვიქცეთ? უპირველესად შევხედოთ ერთმანეთს, როგორც თანასწორმა თანასწორს. მეუღლის ნაკლის დანახვისას საკუთარი ნაკლიც დავინახოთ. მაგრამ მარტო ნაკლსაც ნურასოდეს ვეძებთ. ლაგამი ამოვდოთ თვით ჩვენში შემორჩენილ მახინჯ ჩვევებს, შეხედულებებს. დავუთმოთ ერთმანეთს (და არა ყოველთვის ერთმა მხარემ) — აი, საწინდარი იმისა, რომ ხვალ, ზეგ ან თუნდაც კარგახნის შემდეგ მწუხარების ჩრდილი ჩამოშორდება ჩვენს ოჯახს.

მაგრამ თუ მაინც არაფერმა გვიშველა? თუ ყოველთვის დამთმობი, დაჩაგრული, ხმაწართმეული ერთი მხარეა?

საბჭოთა კანონმდებლობა უშვებს ცოლქმრის გაყრას, როცა ადამიანის პიროვნება იჩაგრება, როცა ცუდი დედის ან ცუდი მამის გავლენით ბავშვები მახინჯდებიან. გადაგვარებული და მახინჯი ოჯახი, დამახინჯებული მომავალი თაობა ჩვენს საზოგადოებას არ სჭირდება. ასეთი ოჯახი უნდა დაინგრეს — ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია!

მაგრამ ეს არის ყველაზე მძიმე და უკანასკნელი გამოსავალი. არცერთი პატიოსანი ადამიანი ხელს არ მოუმართავს უბრალო მიზეზით ოჯახის დანგრევას. არაა მეგობარი ის, ვინც იოლად გვეტყვის: გაშორდით ერთმანეთს!

როგორ გავშორდეთ? როცა შეიძლება, თუ მოვინდომებთ, ბედნიერება დავიბრუნოთ, როცა ჩვენს შვილებს დედაც უნდა და მამაც, როცა შეიძლება სამუდამო სანანიებლად გაგვიხდეს ჯინზე, ნაჩქარევად გადადგმული ნაბიჯი?

არა, ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ის კარგი დღეები, როცა პირველად შევაღეთ ერთი ოჯახის კარი, როცა პირველად ვუთხარით ერთმანეთს — „მიყვარხარ“. ძნელია? იქნება ასეც იყოს. მაგრამ უნდა ვეცადოთ დავძლიოთ ეს სიძნელე. ვეცადოთ ერთიც და მეორეც. ამას გვავალებს ჩვენი კომუნისტური საზოგადოების მორალი, ამას გვავალებს ჩვენი ადამიანური ღირსება.

ბავშვი სხვა ბავშვზე მაღლა დგას ზნეობით, პატიოსნებით, და წარმოიდგინეთ, გარეგნობითაც. ამდენად არ თვლის საჭიროდ გარიოს იგი „სხვებში", თან იმის შიშიც აქვს, რომ ამხანაგებთან ბავშვი იცელქებს, იხმაურებს, დაისვრის ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, და ამას ხომ შემდეგ მოწესრიგება დასჭირდება! რისთვის შეიწუხოს თავი! ან შეიძლება გაოფლიანდეს, გაცივდეს. ამ მიზნით ზოგიერთ მშობელს ბავშვი საბავშვო ბაღშიც არ შეჰყავს.

ასეთ კარჩაკეტილ ბავშვებს ძალიან ბევრს ვიცნობთ. მათი ცნობა არც თუ ისე ძნელია. რაღაც არაბავშვური ელფერით გამოიყურებიან ისინი, თვალებში თითქოს ნაღველი აქვთ ჩაწოლილი. თანატოლი ასაკის ბავშვების წრე, კოლექტივი, ერთმანეთთან ურთიერთობა არამც თუ საჭიროა, აუცილებელიც არის. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული უფროსის უშუალო მეთვალყურეობა.

აბა, თვალყური ადევნეთ ბავშვების თამაშს. მათ ურთიერთობაში მორჩილებაც არის, ურჩობაც, კინკლაობაც, ჩხუბიც, შერიგებაც. ამ დროს მათ ისეთი გაცხოველებული ფანტაზია ეუფლებათ, ისეთი გატაცებულნი ხდებიან, რომ ახლოს მიმსვლელს ვერც კი ამჩნევენ. ზოგიერთი აღმზრდელი ანგარიშს არ უწევს ბავშვის ბუნებრივ მოთხოვნილებას, ქორივით დაეცემა თავზე, გამოსტაცებს ტოლ-ამხანაგებს, ცალკე დაუყრის სათამაშოებს, რომლებიც მას მობეზრებული აქვს და ეტყვის: აქ ითამაშეო. ასე ყალიბდებიან აპატიით შეპყრობილი, ინდიფერენტული ბავშვები, რომლებსაც შემდგომში ნაკლებად აქვთ საზოგადოებისადმი ინტერესი.

ამყოფეთ ბავშვი ტოლებთან, გარეთ! გზა მიეცით მის ფანტაზიას, შემოქმედებით უნარს. აი, ბავშვის სწორად აღზრდის ერთერთი პირობა.

**ბაბო მჭედლიძე,**
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

იგი ინარჩუნებს ყველა თავის საუკეთესო თვისებებს და შესაძლებელი ხდება მისი შენახვა ზამთრისათვისაც.

ალუბალს ახმობენ, აკონსერვებენ, ხარშავენ მურაბას, ამზადებენ წვენსა და ნაყენს.

განსაკუთრებული გემო და არომატი შეაქვს ალუბალს საკონდიტრო ნაწარმში. მისგან ბავშვებისათვის მზადდება ბევრი გემრიელი საჭმელი.

## ალუბლის დამუშავება საზამთროდ:

**ალუბლის გახმობა.** მუქი წითელი, ხორციანი და წვნიანი ალუბალი გაარჩიეთ, გარეცხეთ თბილ წყალში და დასაწურად 15 წუთით საცერში გააჩერეთ. მერე ლასტზე სუფთა თეთრი ნაჭერი დააფინეთ და ზედ ერთფენად გაშალეთ ალუბალი. გაახმეთ მზეზე. გამხმარი ალუბალი სუფთა პარკში ჩაყარეთ და ისე დაკიდეთ, რომ ხშირ-ხშირად ნიავდებოდეს. გამხმარი ალუბალი იხმარება კომპოტისა და კისელის მოსამზადებლად.

**ალუბლის შენახვა ნედლად.** პირველი ხერხი: სუფთა და მშრალ ბოთლში ჩაყარეთ გარეცხილი, მშრალი ალუბალი. ბოთლს მჭიდროდ დახურეთ თავი, გარშემო ნაჭერი ან გაზეთი შემოახვიეთ. ქვაბში ცივი წყალი ჩაასხით, შიგ შეფუთვნილი ბოთლი ჩადგით და 1 საათი ადუღეთ. ბოთლი ქვაბში მანამ ჩატოვეთ, ვიდრე არ გაგრილდება. ბოლოს საცობზე ლუქი მოასხით და გრილ ადგილას დადგით. კარგი იქნება, თუ მას ქვიშაში შეინახავთ.

ასეთი ალუბლისაგან ზამთარში ამზადებენ კომპოტს, კისელს, იყენებენ სხვადასხვა ნამცხვრისათვის.

მეორე ხერხი: მასალა: 1 კგ ალუბალი, 1 ან $1^1/_2$ კგ შაქარი.

სტერილიზებულ ქილას ძირში ჩააყარეთ შაქრის ფხვნილი, ზევიდან რამდენიმე ფენად მოაყარეთ ალუბალი, შემდეგ ისევ შაქრის ფხვნილი და ალუბალი... ასე გაიმეორეთ, ვიდრე ქილა არ გაივსება. შემდეგ ქილას დაახურეთ ჰერმეტულად და შეინახეთ ცივ

დააწყვეთ დროდადრო ქილები შეანჯღრიეთ, ისე, რომ ყველა ალუბალი დასველდეს. 2 კვირის შემდეგ ქილები ცივ ადგილას შეინახეთ ზამთრისათვის.

**ალუბლის დესერტი.** მწიფე ალუბალი ფენებად ჩააწყვეთ ქილაში. ყოველ ფენას ზევიდან ცოტ-ცოტა ლიმონის ცედრა მოაყარეთ. ბოლოს თაფლი მოასხით.

2 კვირის შემდეგ ქილიდან ალუბლის წვენი გადმოასხით სუფთა ჭურჭელში, ალუბალი კი კოვზით თასზე ფრთხილად გადმოსცალეთ. ქილის ძირში ჩარჩენილი თაფლი კარგად შეურიეთ ალუბლის წვენს, მერე ქილაში კვლავ ჩააწყვეთ ალუბალი და თაფლნარევი ალუბლის წვენი ზევიდან მოასხით. ქილას პერგამენტის ქაღალდით მოუკარით თავი და ისე შეინახეთ.



**ალუბლის სიროპი.** ალუბალი გადაარჩიეთ, გარეცხეთ, ამოაცალეთ კურკები, კარგად მოჭყლიტეთ, მერე შაქრის ფხვნილი დააყარეთ (პროპორცია: 2 კგ ალუბალზე 1 კგ შაქარი), ერთმანეთში კარგად შეურიეთ და 24 საათით ასე დატოვეთ. მერე სუფთა ქსოვილში გაწურეთ, გამონაწურს კვლავ დაუმატეთ შაქარი და ადუღეთ (პროპორცია: 1 ბოთლ ალუბლის წვენზე 1 კგ შაქარი). ადუღეთ იგი ნებისმიერ სისქემდე. დუღილის დამთავრებამ-

# ყველაფერი ალუბლისაგან

ალუბალი მეტად სასარგებლო ხილია. ის მდიდარია ვიტამინებით. შეიცავს შაქარს, აზოტოვან ნივთიერებებს, მინერალურ მარილებს. ალუბლის წვენი აძლიერებს კუჭის სეკრეციას და ამიტომ განსაკუთრებით სასარგებლოა იმათთვის, ვისაც კუჭის სეკრეცია დაქვეითებული აქვს, ამავე დროს ალუბალი ძალიან გემრიელიცაა, ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ კვების რაციონში მეტი ადგილი დავუთმოთ მას.

ნედლი სახით ალუბალი დიდხანს არ ინახება. გარკვეული დამუშავების შემდეგ კი

ადგილას. ასე შენახული ალუბალი ახალდაკრეფილის არომატს ინარჩუნებს. ზამთარში იგი შეგიძლიათ სუფრაზე მიიტანოთ, როგორც დესერტი. სურვილის მიხედვით შეგიძლიათ ოდნავ მოასხათ კონიაკი ან რომი.

**ნედლი ალუბალი შაქარში.** 1 კგ ალუბალი კურკებისაგან გაწმინდეთ, შეურიეთ $^1/_2$ კგ შაქარი და ქილებში ჩაყარეთ. შემდეგ კოვზით შეწნიხეთ მსუბუქად. ქილებს ცელოფანის ქაღალდით მოუკარით თავი და 2 კვირით ფანჯრის რაფაზე

დე რამდენიმე წუთით ადრე ჩაუმატეთ ცოტაოდენი ლიმონის სიმჟავე. გამზადებული სიროპი სტერილიზებულ ბოთლებში ჩაასხით. მჭიდროდ დაუცავით თავები, საცობებზე ლუქი მოასხით

ასე დამზადებული სიროპი ინახება ძალიან დიდხანს. იხმარება კისელის დასამზადებლად და დასალევ წყალში შესარევად.

**ალუბალი ძმრით.** მასალა — 500 გრ ალუბალი, 1 ჭიქა 4-პროცენტიანი ძმარი. დამზადების წესი: გარეცხილი ალუბალი დაკურ-

კეთ, მოაყარეთ შაქარი, დაასხით ძმარი, დაახურეთ თავზე და დადგით მზეზე. 1 კვირის შემდეგ წვენი სხვა ჭურჭელში გადაასხით, წამოადუღეთ, გააგრილეთ და კვლავ მოასხით ქილაში ჩარჩენილ ალუბალს. ქილას პერგამენტის ქაღალდით მოუკარით თავი და გრილ ადგილას შეინახეთ.

ამგვარად დამზადებული ალუბალი ძირითადად საკონდიტრო ნაწარმის გასაფორმებლად იხმარება.

ა ლ უ ბ ლ ი ს ნ ა ყ ე ნ ი. 1 კგ ნედლი ალუბალი დიდ ბოთლში ჩაყარეთ. დაასხით 1 ლიტრი 95 პროცენტიანი სპირტი და 1/2 ლიტრი არაყი. მჭიდროდ დაახურეთ თავზე და ასე გააჩერეთ 4 კვირის განმავლობაში.

აიღეთ სუფთა ცარიელი ბოთლი, შიგ ბამბიანი ძაბრი ჩადეთ და ნაყენი ალუბლის წვენი გადმოსცალეთ.

ბოთლში ჩარჩენილი ალუბალი სუფთა ჯოხით ჩაწნიხეთ. ზევიდან 1 კგ შაქარი მოაყარეთ და 2-3 კვირით დადგით მზეზე. დროდადრო ბოთლი შეანჯღრიეთ. როცა შაქარი სულ ჩადნება, შიგ დაგროვილი სიროპი ბამბიანი ძაბრით ჩაასხით სუფთა, ცარიელ ბოთლში.

ალუბლის ეს სიროპი გემოვნების მიხედვით შეურიეთ ალუბლის სპირტიან გადანახულ ნაყენს. ნარევი კვლავ 2-3 კვირით დადგით. როცა დაიწმინდება, ბამბიანი ძაბრის მეშვეობით კვლავ ჩაასხით სუფთა და ცარიელ ბოთლში. მიიღებთ ალუბლის ნაყენს.

ა ლ უ ბ ლ ი ს ლ ი ქ ი ო რ ი. შუშის ქილაში ჩაყარეთ 1 კგ კურკიანი ალუბალი. ზედ 1 ლიტრი სპირტი დაასხით. ქილას მჭიდროდ დაახურეთ თავზე და ერთი კვირის მანძილზე მყუდრო ადგილას მოათავსეთ. ქილა ყოველდღე შეანჯღრიეთ. 1 კვირის შემდეგ ალუბლის წვენი მეორე ქილაში გადაწურეთ (იხმარეთ ბამბიანი ძაბრი), ალუბალს 1 კგ შაქარი მოაყარეთ და ასე გააჩერეთ 2-3 კვირა. დროდადრო ქილა შეანჯღრიეთ. შაქარმოსხმული ალუბლის წვენიც ბამბიანი ძაბრის მეშვეობით ალუბლისაგან პირველად გადაწურულ . წვენს შეურიეთ.

3/4 ჩაის ჭიქა წყალი გაათბეთ, უწვენოდ დარჩენილ ალუბალს დაასხით და კარგად მოურიეთ. ბამბიანი ძაბრის დახმარებით ეს წყალი ბოთლში დაგროვილ ალუბლის წვენს შეურიეთ. 3/4 ჩაის ჭიქა წყალი იმავე წესით, იმავე ჭურჭელში მეორეჯერაც გადმოწურეთ

მიღებული სიროპი 2-3 კვირის განმავლობაში ჭურჭელში გააჩერეთ. მერე კიდევ ერთხელ ბამბიანი ძაბრის მეშვეობით გაფილტრეთ, მიღებული ლიქიორი ნებისმიერ ჭურჭელში ჩაასხით შესანახად.

### ა ლ უ ბ ლ ი ს პ ი უ რ ე.

ალუბალი გახეხეთ საცერში. 2 ჩაის ჭიქა გახეხილ ალუბალს 1 ჩაის ჭიქა შაქარი მოაყარეთ და ადუღეთ როგორც მურაბა, ოღონდ გაცილებით ნაკლებ ხანს.

მიღებული პიურე გააგრილეთ, ქილებში ჩადეთ, ქილებს თავი პერგამენტის ქაღალდით მოუკარით და გრილ ადგილას შეინახეთ.

ზამთარში იგი შეგიძლიათ მიირთვათ რძის ნაღებთან ერთად, გამოიყენოთ ღვეზელის გულში ჩასადებად, ან ტორტის ბისკვიტზე წასასმელად კრემის მსგავსად.

### ა ლ უ ბ ლ ი ს მ უ რ ა ბ ა

1 კგ ალუბალი გაწმინდეთ კურკებისაგან შეურიეთ 500 გრ შაქარი და ასე დატოვეთ მეორე დღემდე (თასს ზევიდან პერგამენტის ქაღალდი დაახურეთ). მეორე დღეს ჩაუმატეთ კიდევ 500 გრ შაქარი და სქელ სიროპში მოადუღეთ. სიროპში ჩადეთ თასში დატოვებული ალუბალი და ხარშეთ, ვიდრე ყოველი მარცვალი დაბლა არ ჩაიძირება და წვენი გამჭვირვალე არ გახდება (დუღილს დაახლოებით დასჭირდება 10 წუთი).

მურაბა ქილებში ჩაასხით. ქილას გერმეტულად დაახურეთ ან ორმაგი ცელოფანის ქაღალდით მოუკარით თავი.

ალუბლისაგან, რასაკვირველია, სეზონურად სახელდახელოდაც მზადდება სხვადასხვა გემრიელი დესერტი, ტკბილეულობა. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

### ა ლ უ ბ ლ ი ს კ ო მ პ ო ტ ი, რ ო მ ე ლ ი ც ს წ რ ა ფ ა დ მ ზ ა დ დ ე ბ ა

200 გრ შაქარს დაასხით 1/4 ლიტრი წყალი, წამოადუღეთ, მერე შიგ ჩააწურეთ ცოტა ლიმონის წვენი. ქაფქაფა სიროპში 500 გრ კურკიანი ალუბალი ჩაყარეთ და 2-3 წუთით ადუღეთ მხოლოდ.

### შ ო კ ო ლ ა დ ი ს პ ო მ ა დ ი ს დ ა მ ზ ა დ ე ბ ი ს წ ე ს ი

ქვაბში დაადნეთ 80 გრ კარაქი, დაამატეთ ამდენივე შაქარი, ურიეთ ისე რომ შაქარიც დადნეს, ვიდრე დუღილამდე მივიდოდეს, დაამატეთ რძიანი კაკაო (1 სუფრის კოვზი რძე, ამდენივე კაკაო). ცალკე სულ ცოტა წყალში გახსენით 1 სუფრის კოვზი კარტოფილის ფქვილი, ისიც ჩაამატეთ და კარგად აურიეთ, მერე ცეცხლიდან ჩამოდგით.

ალუბლის ყოველ მარცვალს ცალ-ცალკე ჩაურჭეთ ხის წვრილი ჩხირები და ისინი გამზადებულ შოკოლადის პომადაში ამოავლეთ. შემდეგ ჯოხების თავისუფალი ბოლოები გადმობრუნებული საწურის ხვრელებში ჩაარჭეთ და შოკოლადის ქერქიანი ალუბლები ისე გააშრეთ. ალუბლიანი შოკოლადი განსაკუთრებით პატარებს მოსწონთ.

### შ ო კ ო ლ ა დ ი ს კ რ ე მ ი ა ლ უ ბ ლ ი თ

100 გრ შოკოლადის ნაჭრები ქვაბში ჩაყარეთ, 2 სუფრის კოვზი რძე დაასხით და ნელ ცეცხლზე შედგით. შოკოლადის დარბილების შემდეგ ქვაბი გადმოდგით. უყავით 1/2 ჭიქა შაქარი, მას ცალ-ცალკე ჩაათქვიფეთ 3 კვერცხის გული, თან კარგად ურიეთ. შეთქვეფილი 3 კვერცხის ცილა მოასხით. მსუბუქად აურიეთ. სუფრაზე მიტანამდე ცივ ადგილას შეინახეთ.

### შ ე მ წ ვ ა რ ი ა ლ უ ბ ა ლ ი

2 კვერცხის გული, 1/4 ლიტრი რძე, 2 სუფრის კოვზი შაქარი, 100 გრ ფქვილი და ცოტა მარილი ერთმანეთში აურიეთ, კარგად ათქვიფეთ და თხელი ცომი მოამზადეთ. 500 გრ კურკაგამოცლილ ალუბალს 2 სუფრის კოვზი რომი მოასხით და ცოტახანს გააჩერეთ. მერე ცომში შეურიეთ.

ალუბლიანი ცომი აიღეთ სუფრის კოვზით, ცხიმიან ტაფაზე დაასხით და შეწვით, ოდნავ მოაყარეთ შაქრის ფქვილი და სუფრაზე ისე მიიტანეთ.

ცეცილია ელიგულაშვილი,

ლიზია პაიჭაძე.

## პრაქტიკული რჩევები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გსურთ რძემ დიდხანს გასძლოს, ადუღებისას ჩაუმატეთ შაქრის ფხვნილი (1 სუფრის კოვზი ერთ ლიტრ რძეზე).

* * *

ძროხის ღვიძლი რომ შერბილდეს და გემოც დაუნაზდეს, შეწვამდე ცოტახნით ჩაალბეთ რძეში.

* * *

ხორცი ნაზი გამოვა, თუ მას შეწვამდე ერთი საათით ადრე წაუსვამთ მდოგვს.

* * *

სოსისი რომ ხარშვის დროს არ დასკდეს, ცხელ წყალში ჩაშვებამდე რამდენიმე ადგილას დაჩხვლიტეთ ნემსით.

* * *

გაფცქვნილ კარტოფილს დიდხანს ნუ დატოვებთ წყალში, რადგან წყალში ის ნაწილობრივ კარგავს საკვებ ნივთიერებებს. იგი მოხარშვის ან შეწვის წინ უნდა დაითალოს.

* * *

თუ კვერცხს ნაჭუჭი გატეხილი აქვს, მოუსვით ამ ადგილას ლიმონის წვენი და ისე მოხარშეთ. კვერცხი არ დაიმტვრევა.

* * *

ზოგჯერ ყვავილოვანი კომბოსტო მოხარშვის შემდეგ მოყვითალო ან მონაცრისფრო ფერს გადაიკრავს ხოლმე. თეთრი რომ გამოვიდეს, წყალში, რომელშიც კომბოსტოს ხარშავთ, ჩაუშვით ლიმონის პატარა ნაჭერი. არ მოხარშოთ კომბოსტო რკინის ან ალუმინის ქვაბში. ესეც უფუჭებს ფერს. ყველაფერს ჯობს, ყვავილოვანი კომბოსტო ემალის ჭურჭელში მოიხარშოს.

* * *

თუ გსურთ, რომ შემწვარი ხორცი ცვრიანი იყოს, შეწვის შემდეგ დაიკავეთ 15 წუთით ქვაბის თავზე, რომელშიც წყალი დუღს.

* * *

მომწვანო კარაქი ან ქონი რომ საკვებში სახმარად გამოგადგეთ, ასე მოიქეცით: დაასხით კარაქს ან ქონს მდუღარე წყალი, რომელშიც გახსნილი იქნება ცოტაოდენი სასმელი სოდა. კარგად აურიეთ. როცა შეგრილდება, წყალი გადმოასხით. ეს ოპერაცია 2-3 ჯერ ჩაატარეთ. 500 გრ კარაქზე ან ქონზე უნდა აიღოთ ორი ლიტრი წყალი და 8 გრამი სოდა. მომწარო გემო ასევე შეიძლება გაქრეს, თუ კარაქს ან ქონს დაჭრილ ხახვთან ერთად წამოაცხელებთ.

* * *

თუ რომელიმე კერძის დასამზადებლად კვერცხის მხოლოდ ცილა გჭირდებათ, კვერცხის გული ფრთხილად ჩადეთ წყლიან შუშის ქილაში, ასე შენახული დიდხანს სძლებს.

* * *

კომბოსტოს ძლიერი სუნი გაუქრება, თუ ქვაბში, რომელშიც იხარშება, ჩადებთ ერთ ნაჭერ თეთრ პურს. სუნი მაშინაც გაქრება, თუ ქვაბს ზევიდან გადააფარებთ ძმარში დასველებულ სუფთა თეთრ ქსოვილს, შემდეგ კი ქვაბს სახურავს დახურავთ.

* * *

როცა ბოსტნეულს მარილიან წყალში ვხარშავთ, მასში იკარგება ვიტამინების 70 პროცენტი. ამიტომ მარილი ბოსტნეულის კერძს მხოლოდ ხარშვის დამთავრების შემდეგ უნდა ვუყოთ.

მარგო თომაძე

# ფუტკარი და დათვი





(ზღაპარი)

ერთ უღრან ტყეში დედა დათვი ცხოვრობდა, ორი აატარა შვილი ყავდა. დათვი მთელი დღე საზრდოს საშოვნელად დაძრწოდა. ბელები კი ბუნაგში რჩებოდნენ.

ერთხელ ძალიან დიდი თოვლი მოვიდა. მთა და ბარი სულ ერთიანად გადაბარდნა. დათვს საჭმელის შოვნა გაუჭირდა. ბევრი იხეტიალა, მაგრამ ვერაფერს გადააწყდა. ტყის განაპირას, ერთ ბებერ წიფელში სკა ეგულებოდა. იქითკენ გასწია თაფლის საშოვნელად. ის იყო, წიფელს თათი შეახო, რომ იქიდან ზუილით გამოქანდა დედა ფუტკარი და დათვს ზედ ცხვირზე ეტაკა:

— რას სჩადიხარ, დათუჩავ! — შეძახა მან დათვს. — ასი შვილი მყავს, ზაფხულში ნაგროვები მთელი საზრდო მაგ სკაშია, ეგეც რომ შენ შესვლიპო, ამ შუაგულ ზამთარში სად რა უნდა ვიშოვოთ, ახლა არც ყვავილებია და არც ხილი, შვილები ხომ შიმშილით დამეხოცენო?

— ეხ! — ამოიოხრა დათვმა, — რა ვქნა, მეც ორი პატარა ბელი მყავს და ლამის შიმშილით სული ამოძვრეთ. მთელი დღე დავეხეტები და ვერაფერი მოვინადირე...—ამ დროს ფუტკარმა შენიშნა, რომ დათვს ზურგიდან მონადირე წამოეპარა, თოფი მხრიდან გადმოიღო და დაუმიზნა. ფუტკარი სწრაფად მოწყდა ადგილიდან და ზუილით გაქანდა მონადირისაკენ;

— რას ჩადიხარ, არ ესროლო! — შესძახა დედა ფუტკარმა მონადირეს, — მაგას შინ პატარა შვილები ჰყავს გასაზრდელიო, — ეცა შიგ თვალში და უკბინა.

მონადირემ მიზანი დაჰკარგა. თოფი კი გავარდა, მაგრამ დათვს არ მოხვედრია.

დათვი ჯერ კიდევ გაოგნებული იყო, რომ მის წინ მომაკვდავი ფუტკარი დაეცა.

— ვკვდები, დათუჩა, ჩვენი წესი ასეთია: როცა ვისმეს ვუკბენთ, სიცოცხლესაც იქვე ვამთავრებთ. შენი შვილები შემებრალა და ჩემ სიცოცხლეზე აღარ მიფიქრია, — ნელი ზუზუნით ამოილაპარაკა ფუტკარმა.

— შენთან ერთი სათხოვარი მაქვს, — უთხრა ბოლოს, — არ დაესხა თავს ჩემს უბედურ შვილებს, ბუდე არ დაუნგრიო, ზამთრის საზრდო არ შეუჭამო. შიმშილით ამოიხოცებიანო.

დათვს თვალებიდან ღაპაღუპით სცვიოდა ცრემლები.

— მართალია, დათვი ვარ, მაგრამ მეც ხომ დედა ვარ და შვილები მყავს, — ამოიხრიალა მან, — მართლა და მართლა, განა ისეთი საზიზღარი მხეცი ვარ, რომ ავი და კარგი ვერ გავარჩიო, მტერი და მოყვარე ვერ ვიცნო?

მკვდარი ფუტკარი თათით აიღო და წიფლის ძირას ჩაფლა. მერე სკა შეათვალიერა, საბრალო ობლებს საფრთხე ხომ არსაიდან მოელითო და თავის ბუნაგისაკენ გასწია.

ბელები მოუთმენლად ელოდნენ დედას. გამოჩნდა თუ არა დათვი, შემოეხვივნენ.

— გვშია, გვშია, გვაჭამე რამეო, — იხვეწებოდნენ.

— ჰო, გაჭმევთ, ცოტა მადროვეთ. ჯერ კი წინ დამისხედით, — უთხრა მან შვილებს. ბელები სწრაფად დასკუპდნენ დედის წინ.

— აბა, კარგად მიყურეთ და რაც მე გავაკეთო, თქვენც ის გააკეთეთო, — ბელები თვალმოუშორებლივ შესცქეროდნენ დედას. დათვმა თავისი წინა თათი აიღო, პირში ჩაიდო და ლოკვა დაუწყო.

ბელებმაც აიღეს წინა თათები და პირში ჩაიდეს.

— რას მიყურებთ, რატომ არ ლოკავთ? — გაუჯავრდა დედა.

— რატომ უნდა გავლოკოთ?

იკითხეს ბელებმა.

— უკვე დროა, რომ იცოდეთ, — აბურდღუნდა დედა დათვი, — ჩვენ, დათვებს ასეთი ჩვეულება გვაქვს: როცა დიდი ზამთარია და გარეთ საზრდოს ვერა ვშოულობთ, ჩვენივე თათებს ვლოკავთ და იმით ვსაზრდოობთ, აბა, აიღეთ ახლავე თათები, პირში ჩაიდეთ და ლოკეთო.

გარეკანზე—
თბილისის სამხატვრო სალონში.
ფოტო დ. იაკობაშვილის და
თ. მოდებაძის


რედაქტორი თ. აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VII-63 წ. ქაღალდის ზომა 60×92, ფიზ. ფორმ. რაოდ.1,75.
პირობით ფორმათა რაოდ. 5.3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71.
ტირაჟი 48.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 1223 უე 04950

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали“.
Издательство ЦК КП Грузии.

# ჭრა-კერვის დაუსწრებელი სწავლება

## ქალის მხრიანი დღის პერანგი—(ნახ. 1.)

### თარგის შედგენის წესი — (ნახ. 2).

თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი პირობითი ზომები:

1. გულმკერდის წრეხაზის ნახევარი — 50 სმ
2. ზურგის სიგრძე წელამდე — 40 სმ.
3. გვერდის სიგრძე — 20 სმ
4. პერანგის სიგრძე — 95 სმ

პერანგის 1/4-ის თარგის შესადგენად გულმკერდის წრეხაზის ანაზომს ვყოფთ მუდმივად 2-ზე, ვუმატებთ სისრულისათვის 3 სმ:

$$50 : 2 = 25$$
$$25 + 3 = 28$$

მიღებულ 28-ს გადავზომავთ წერტილ ა-დან მარჯვნივ. ა-და 28-



ნახ. 1.

წერტილებიდან ქვევით ჩამოვზომავთ პერანგის მთლიან სიგრძეს — 95 სმ და ვადგენთ ოთხკუთხედს.

შემდეგ ა-და 28-წერტილებიდან ჩამოვზომავთ ზურგის სიგრძეს — 40 სმ. 40-წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით.

ზურგის სიგრძეს ვყოფთ მუდმივად 2-ზე:

$$40:2 = 20.$$

მიღებულ 20-ს ჩამოვზომავთ წერტილ ა-დან ქვევით და ვავლებთ იღლიის დასაყენებელ ხაზს.

ჩარჩოს სიგანეს ვყოფთ მუდმივად ორზე:

$$28 : 2 = 14$$

მიღებულ 14-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ და აღვნიშნავთ შუა წერტილს. შუა წერტილიდან ე. ი. 14-დან მხრის სიგანისათვის მარცხნივ გადავზომავთ მუდმივად 4 სმ.

პერანგის საყელოს წინა მხარისათვის წერტილ 20-დან ზევით ავზომავთ 2 სმ. 2-წერტილს ვაერთებთ 4-წერტილთან მრუდი ხაზით.

პერანგის საყელოს უკანა მხარისათვის წერტილ 2-დან ზევით ავზომავთ 3 სმ. 3-წერტილს ვაერთებთ წერტილ 4-თან მრუდი ხაზით.

პერანგის იღლიის ხაზის ამოსაჭრელად წერტილ 14-ს ვაერთებთ 20-წერტილთან მრუდი ხაზით.

პერანგის გვერდის ხაზის გამოსაყვანად 20 წერტილიდან ჩამოვზომავთ გვერდის სიგრძეს — 19 სმ. წერტილ 19-ს ვაერთებთ 20-წერტილთან მრუდი ხაზით. სისრულისათვის ქვედა 28-წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ 8 სმ. 8-წერტილს ვაერთებთ 40-წერტილთან სახაზავით. გვერდის ხაზის სისწორისათვის 8-წერტილიდან ზევით ავზომავთ 1 სმ. 1-წერტილს ვაერთებთ 28-წერტილთან მრუდი ხაზით.

### მხრიანი პერანგის გამოჭრისა და შეკერვის წესი

პერანგის გამოსაჭრელად ქსოვილს ვკეცავთ 4-ად, ვამაგრებთ თარგს ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისათვის გვერდებში 1 სმ, სახელოსა და საყელოში 1/2 სმ, დაბლა გადასაკეცად 2 სმ და ვჭრით. პირველად ამოვჭრით საყელოს უკანა მხარის ხაზს, შემდეგ გავშლით პერანგს და ამოვჭრით საყელოს წინა მხარის ხაზს.

პირველად ვკერავთ გვერდებს ნამორის წესით. შემდეგ დაბლა გადავკეცავთ, სახელოებზე და საყელოზე დავუდებთ ირიბ ნაჭერს. შეგვიძლია მოვქარგოთ ან მოვაქსოვოთ.

სიგრძის ხაზი წერტილ 2-დან წერტილ 95-მდე და მხრის ხაზი 4-წერტილიდან 14 წერტილამდე გაუჭრელია.

## ქალის ჭიმიანი (ბრეტელიანი) პერანგი გვერდებში შეჭრილი

### თარგის შედგენა — (ნახ. 3).

თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. გულმკერდის წრეხაზის ნახევარი — 50 სმ

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნახ. 2.




ნახ. 3.

2. ზურგის სიგრძე — 42 სმ

3. პერანგის სიგრძე — 90 სმ

პერანგის 1/4-ის თარგის შესადგენად გულმკერდის წრეხაზის ნახევარს ვყოფთ მუდმივად 2-ზე, ვუმატებთ სისრულისათვის 2 სმ:

$$50 : 2 = 25$$

$$25 + 2 = 27$$

მიღებულ 27-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. ა-და 27-წერტილებიდან ჩამოვზომავთ პერანგის მთლიან სიგრძეს = 90 სმ; ვადგენთ ოთხკუთხედს.

ა-და 27-წერტილებიდან ჩამოვზომავთ ზურგის სიგრძეს — 42 სმ. ზურგის სიგრძეს ვყოფთ მუდმივად ორზე:

$$42 : 2 = 21$$

21 სმ ჩამოვზომავთ წერტილ ა-დან და ვავლებთ იღლიის დასაყენებელ ხაზს.

ჰიმის, იღლიის და გულის ხაზის დასადგენად ა-და 21-წერტილებიდან მარჯვნივ გადავზომავთ 10 სმ. წერტილ ქვედა 10-დან ზევით ავზომავთ 7 სმ. წერტილ ზედა 10-დან მარჯვნივ გადავზომავთ 21 სმ (ჰიმის სიგანისათვის). წერტილებს 10,2,7 ვაერთებთ 21 წერტილებთან სახაზავით.

გვერდის გამოსაყვანად წერტილ 42-დან მარცხნივ გადავზომავთ 3 სმ. 3-წერტილს ვაერთებთ 21-წერტილთან სახაზავით. გვერდის

ჩასაჭრელი ადგილის აღსანიშნავად წერტილ 42-დან მარჯვნივ გა-დავზომავთ 10 სმ. წერტილ 10-დან ქვევით ჩამოვზომავთ 41 სმ. 4-წერტილს ვაერთებთ 3-წერტილთან სახაზავით.

ნაოჭისათვის 40-და 90-წერტილებიდან მარჯვნივ გადავზომავთ 10 სმ. წერტილ ზედა 10-დან ზევით ავზომავთ 3 სმ. 3-წერტილს ვაერთებთ მარცხენა 3-წერტილთან სახაზავით. გვერდის სისწორისათ-ვის წერტილ ქვედა 10-დან ზევით ავზომავთ 1 სმ. 1-წერტილს ვაერ-თებთ 90-წერტილთან მრუდი ხაზით.

### ჭიმიანი პერანგის გამოჭრისა და შეკერვის წესი

ჭიმიანი პერანგის გამოსაჭრელად ქსოვილს ვკეცავთ 4-ად. ქსო-ვილზე თარგს ვამაგრებთ ქინძისთავებით, ვუმატებთ გვერდებში 1 სმ, იღლიასა და საყელოში 1/2 სმ, დაბლა გადასაკეცად 2 სმ და ვჭრით. სიგრძის ხაზი წერტილ 21-დან წერტილ 90-მდე გაუჭრელია. გვერ-დი ჩაიჭრება 4 სმ. 10 სმ გაკეთდება ნაოჭი. თეთრეული გაიწყობა დეკორატიული ნაკერებით, მაქმანით ან ნაქარგით. ოვალურ ამონაჭ-რებს მიკერდება ირიბი ქობა. ქობის სიგანე უნდა იყოს 11 სმ. თეთ-რეული იკერება წვრილი ლამაზი ნაკერით.

## ქალის საბანაო კოსტუმი

### ბიუსტჰალტერი (ლიფი) — (ნახ. 4).

ქალის ბიუსტჰალტერის თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

გულმკერდის წრეხაზის ნახევარი — 50 სმ

გულის ქვედა წრეხაზის ნახევარი — 40 სმ

ბიუსტ. ზედა ნაწილის თარგის შესადგენად გულმკერდის წრე-ხაზის ნახევარს მუდმივად ვყოფთ ორზე, ვაკლებთ მუდმივად 4 სმ:

50:2—4 = 21 სმ.

მიღებულ რიცხვს 21-ს გადავზომავთ წერტილ ა-დან მარჯვნივ. წერტილ ა-დან ჩამოვზომავთ 2 სმ და ვადგენთ ოთხკუთხედს. ოთხ-კუთხედის, როგორც სიგრძეს, ისე სიგანეს ვყოფთ 2-ზე:

21 : 2 = 10,5

მიღებულ რიცხვს 10,5-ს გადავზომავთ მარჯვნივ და ჩამოვზომავთ ქვევით სიგრძის ხაზზე ა-წერტილიდან. 10,5-წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით. ბიუსტჰალტერის გულის შუა ადგილას აღ-სანიშნავად 21-წერტილიდან გადავზომავთ მარცხნივ და ჩამოვზომავთ ქვევით 4 სმ. 4-წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით. ბიუსტ. ქვედა ხაზისათვის ქვედა 21-წერტილიდან ზევით ავზომავთ 1 სმ (ყველა ზომისათვის). 1-წერტილს ვაერთებთ ქვედა 10,5-წერ-ტილთან სახაზავით. 1-წერტილიდან მარცხნივ გადავზომავთ მუდ-მივად (ყველა ზომისთვის) 8 სმ.

ბიუსტ. ზედა მხარისათვის წერტილ ა-დან მარჯვნივ გადავზო-მავთ 2 სმ. 2-წერტილს ვაერთებთ 8-წერტილთან წყვეტილი ხაზით.

ბიუსტ. გვერდებზე ჭრილისათვის (ვიტოჩკისათვის) 10,5-ს გავ-ყოფთ ორზე:

10,5 : 2 = 5,25

მიღებულ რიცხვს 5,25 გადავზომავთ 10,5-წერტილიდან მარჯვ-ნივ. 10,5-წერტილიდან როგორც ზევით, ისე ქვევით ავზომავთ და ჩამოვზომავთ 1 სმ. 5,25-წერტილს 1-წერტილის გავლით შევაერ-თებთ პუნქტირთან (წყვეტილ ხაზთან).

გავზომავთ მანძილს აღნიშნულ წერტილამდე და იგივეს გადავ-ზომავთ ზედა 5,25-წერტილიდან ზედა 1-წერტილის გავლით. ქვე-და წერტილს სახაზავით ვაერთებთ 8-წერტილთან, ხოლო ზედა წერ-ტილს — 2-წერტილთან. ჭიმისათვის 2-წერტილიდან როგორც მარ-ჯვნივ, ისე მარცხნივ გადავზომავთ 1 სმ. ჭიმის სიგრძე აიღება ზომის მიხედვით.

სალტის თარგის შესადგენად წერტილ ა-დან მარჯვნივ გადავ-ზომავთ გულმკერდის ქვედა წრეხაზის ნახევარს — 40 სმ. სალტის სიგანისათვის ჩამოვზომავთ 5 სმ. 5-ს გავყოფთ ორზე:

5 : 2 = 2,5

მიღებულ 2,5-ს ჩამოვზომავთ წერტილ ა-დან ქვევით. აღვნიშ-ნავთ შუა წერტილს.

### ბიუსტჰალტერის (ლიფის) გამოჭრისა და შეკერვის წესი

ქსოვილს ვკეცავთ ორად, იმ ვარაუდით, რომ კარგი პირი შიგ-ნით მოექცეს.



ნახ 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნახ. 5.

ვამაგრებთ თარგს ქსოვილზე ქინძისთავებით და ცვრით. ნაკერისათვის არაფერს ვუმატებთ, ვინაიდან ეს წინასწარ გათვალისწინებულია ნახაზის შედგენის დროს.

ლიფის დიდი ჭრილი იკერება მანქანით, ახლო ნაკერით. შემდეგ იკერება გვერდის ჭრილები და ერთდება ორივე მხარე.

ქვევით ეკერება 2,5 სმ სიგანის სალტე, ზევით ეკერება 2 სმ სიგანის ჭიმი.

## საბანაო ტრუსი (ნახ. 6.)

ქალის ტრუსის თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. თეძოს წრეხაზის ნახევარი — 50 სმ
2. საცვლის სიგრძე — 30 სმ

ვხაზავთ საცვლის 1/4-ს. ამისათვის თეძოს წრეხაზის ნახევარს გავყოფთ მუდმივად 2-ზე:

$$50 : 2 = 25$$

მიღებულ რიცხვს 25-ს გადავზომავთ წერტილ ა-დან მარჯვნივ. წერტილ ა-დან ქვევით ჩამოვზომავთ საცვლის სიგრძეს — 30 სმ და ვადგენთ ოთხკუთხედს. ტოტის ხაზის ამოსაჭრელად საცვლის სიგრძეს გავყოფთ მუდმივად ორზე, ვუმატებთ 1 სმ:

$$30 : 2 = 15$$

$$15 + 1 = 16$$

მიღებულ 16-ს ჩამოვზომავთ წერტილ 25-დან ქვევით. საცვლის უბის ხაზის დასადგენად წერტილ 30-დან მარჯვნივ გადავზომავთ 41 სმ (ყველა ზომისთვის). 4-წერტილს ვაერთებთ 16-წერტილთან მრუდი ხაზით. ეს იქნება საცვლის ტოტის უკანა მხარე. წინა მხარეს 2 სმ-ით უფრო ღრმად ამოვჭრით.




ნახ. 6.

საცვლის გვერდის ხაზის გამოსაყვანად წერტილ 25-დან მარცხნივ გადავზომავთ მუდმივად 4 სმ. 4-წერტილს ვაერთებთ 16 წერტილთან სახაზავით.

საცვლის უკანა მხარის წელის ხაზის ასამაღლებლად ა-წერტილიდან ზევით ავზომავთ მუდმივად 2 სმ. 2-წერტილს ვაერთებთ 4-წერტილთან სახაზავით. ხოლო საცვლის წელის წინა ხაზის დასადაბლებლად წერტილ ა-დან ქვევით ჩამოვზომავთ 2 სმ. 2-წერტილს ვაერთებთ 4-წერტილთან სახაზავით.

ჭრილისათვის (ვიტოჩკისათვის) წერტილ 2-დან გადავზომავთ 8 სმ. წერტილ 8-დან ქვევით ჩამოვზომავთ 10 სმ. წერტილ 8-დან როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ გადავზომავთ 2-2 სმ. 2-წერტილებს ვაერთებთ 10-წერტილთან სახაზავით.

## ქალის ქვედა საცვლის გამოჭრისა და შეკერვის წესი

საცვლის გამოსაჭრელად ქსოვილს ვკეცავთ 4-ად, ვამაგრებთ თარგს ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისათვის 1 სმ, ზევით გადასაკეცად — 2 სმ და ვჭრით. ჯერ გამოვჭრით უკანა მხარეს, შემდეგ გავშლით და ამოვჭრით საცვლის წინა ტოტისა და წელის ხაზს.

სიგრძის ხაზი წერტილ 2-დან 30-წერტილამდე გაუჭრელია. უბის ხაზი წერტილ 30-დან 4-მდე გაუჭრელია, დანარჩენი ხაზები იჭრება.

შეიკერება თეთრეულის კერვის საერთო წესის მიხედვით.

შეგვიძლია გავაწყოთ ფერადი ქსოვილით ან თამასით. ზევით მოვაკეროთ ქამარი. შეიძლება გაეყაროს რეზინიც.

ავტორი ტ. გურგენიძე
კონსულტანტი ივ. ტაბიძე

# მოდები



ეროვნული ბიბლიოთეკა

















ИНДЕКС 76177